

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



სამაგისტრო პროგრამა – საქართველოს ისტორია

ეთერ ჰავლიაშვილი

ატენი წერილობითი წყაროების მიხედვით

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: აპოლონ თაბუაშვილი
ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება თანამედროვე სოფელ ატენს, რომელიც ფეოდალური ხანის საქართველოში ქალაქის სტატუსს ფლობდა. ნაშრომი შედგება ოთხი თავის, შესავალი ნაწილისა და დასკვნისაგან.

ჩემი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ატენი, რომელიც გამორჩეულია საკუთარი ისტორიით და საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურ ასპარეზზე საკმაოდ აქტიურად ჩანს.

ჩემი მიზანია, წერილობითი თუ ეპიგრაფიკული წყაროების შეჯერებით ვაჩვენო, რომ ატენი ნამდვილად იყო ფეოდალური ქალაქი და გარკვეული ისტორიული რეალობის, თუ ფაქტორების გამო იქცა სამეფო სოფლად. ნაშრომში ძირითადად მიმოვიხილავ თითქმის ყველა ცნობას, რომელიც საკვლევ საკითხს ეხება. ვცდილობ, დეტალურად განვიხილო თუ რა პერიოდში კარგავს ატენი ქალაქის სტატუსს და რომელ ფეოდალთა ხელში გადადის. მიკრო ისტორიის საფუძველზე შევისწავლი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ ქალაქს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და რა გარდამტეხი ცვლილებების შეტანა შეეძლო მას.

შედარებით დეტალურად მიმოვიხილავ XI საუკუნეს. კერძოდ კი ბაგრატ IV–ის მეფობას, რომლის სახელსაც უკავშირდება ქალაქის დაარსება. ატენის სიონის წარწერა იშვიათი გამონაკლისია, სადაც ქალაქის აშენებაზე და ქალაქისთვის დამახასიათებელ ატრიბუტებზეა საუბარი. ატენის სტრატეგიული მდებარეობა განსაზღვრავდა მის მნიშვნელობას და ეკონომიკურ დაწინაურებას განაპირობებდა მაგისტარლურ გზებთან სიახლოვე, რომლებიც ტანას ხეობით შიდა ქართლზე გადიოდა.

ჩემი კვლევის ობიექტი, შემთხვევით არ შემირჩევია და მას, როგორც სტრატეგიული ისე ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა გააჩნია. ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებ, მის მნიშვნელობასა და როლზე ქვეყნის ცხოვრებაში. მართალია, ატენის ხეობაზე არაერთ მკვლევარს უმუშავია და შესწავლილიც არის ისტორიულ-

გეოგრაფიული თუ ეპიგრაფიკული კუთხით, თუმცა საკითხი, რასაც ჩემს თემაში ვაქცევ ყურადღებას გარკვეულწილად სიახლეს წარმოადგენს.

Annotation

The present work deals with the modern village Ateni, which has the status of the city has feudal age in Georgia. The work consists of four chapters, the introduction part and the conclusion.

The object of my research is Ateni, which is distinguished by its own history and has been very active in the political arena for centuries.

My goal is to prove on the basis of written and epigraphic sources that Ateni was really a feudal city And due to some historical reality or factors Ateni Became the royal village. In the work, I mainly review almost all the references to the subject of the study. I try to explain in detail what period of time loses a specific status and which feuds into the hands. On the basis of micro history we prove the importance of a certain city in the political life of the country and what changes it could bring.

Compared in detail in the XI century. In particular, the reign of Bagrat IV, Whose name is associated with the establishment of the city. Atenis Sioni's inscription is a rare exception, where to conversation build the city and the attributes characteristic of the city. Athen's strategic location was determined by its importance and economic promotion was due to the proximity to the main roads, Which were traveling to Shida Kartli by Tana Gorge.

My research object is not accidentally chosen and it has strategic, economic and cultural significance. Below I will talk in more detail, its importance and role in the life of the country. Although many researchers have worked on Ateni Gorge and have studied in historical-geographical or epigraphical terms, however, the issue that I focus in my topic is somewhat novelty.

შინაარსი

შესავალი.....	6
თავი I	
ატენის ისტორიულ–გეოგრაფიული მიმოხილვა	13
ა) მდ. მტკვრის აუზში მდებარე ქალაქთა განვითარება და მათი როლი ქვეყნის ცხოვრებაში	13
ბ) ატენი	23
თავი II	
„ახალქალაქობის ხანა“–ატენის გაქალაქება.....	30
თავი III	
ატენი, როგორც სამეფო სოფელი	51
თავი IV	
მატერიალური კულტურის ძეგლები, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება	63
დასკვნა	74
დამონმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია	77

შესავალი

ზოგიერთი სოფლისა თუ ქალაქის მიკრო ისტორია განსაკუთრებულია, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის და საყურადღებოა, ზოგადად ქვეყნის წარსულზე და მის კულტურულ განვითარებაზე საუბრისას. განსაკუთრებით საინტერესოა, როცა საკითხი მშობლიურ სოფელს და მის ისტორიას ეხება. ატენის ხეობას, მეცნიერთა ყურადღება ნამდვილად არ მოჰკლებია. შესწავლილია ხეობაში არსებული ციხე-კოშკების თუ ტაძართა არქიტექტურა, ეპიგრაფიკა, რის საფუძველზეც არაერთი ისტორიული პერიოდის თავისებურებების ახსნაა შესაძლებელი. ხეობა ნაწილობრივ შესწავლილია ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, თუმცა აქამდე არსებულ ნაშრომებში, ატენზე, როგორც ქალაქზე ყურადღება არაა გამახვილებული. ნაშრომში, განვიხილავთ რა პერიოდში იღებს ქალაქის სტატუსს ატენი, როდის კარგავს და გადაიქცევა სამეფო დომენად, სოფლის სახით. ყურადღებას ვამახვილებ მის ფლობა-განკარგვის საკითხზე. მიმოვიხილავ რა პერიოდშია პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად უფრო ძლიერი და აქტიური. განვითარებული ქალაქი, გარკვეულწილად ქვეყნის ცხოვრებაში მისი ეკონომიკურ-სოციალური თუ კულტურული დონის განმსაზღვრელია. შევეცდებით დეტალურად მიმოვიხილოთ ყველა ის ცნობა, რაც გვხვდება ქართულ წერილობით წყაროებში ატენთან დაკავშირებით.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა რომ: *„ქალაქების სიმრავლე... ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურსა და კულტურულ სიმალღებზე დამოკიდებული“*. ჩვენი ქვეყნის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ამ ქალაქების განვითარებასა და პროგრესზე ეჭვს ნამდვილად არ შევითანთ. XI–XIII საუკუნეებში ფეოდალური საქართველოს ეკონომიკამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, ასევე ხელოსნობისა და ვაჭრობის კიდევ უფრო ზრდამ, თავის მხრივ, განაპირობა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომი აღმავლობა.

ატენის შესახებ, მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის, როგორც ლაპიდარული წარწერები, ისე წერილობითი თუ არქეოლოგიური მონაცემები. რაც შეეხება ატენს, როგორც მცირე ქალაქი, ატენის ციხე, იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი

ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, მათიანე ქართლისაი“, უამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილის ახალი ქართლის ცხოვრების პირველი და მესამე ტექსტი, იოანე ბაგრატიონის „ქართლ კახეთის აღწერა, ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“.

შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების აღწერასა და დეტალურ დახასიათებას გვთავაზობს XVIII ს. ქართული ისტორიოგრაფიის გამორჩეული წარმომადგენელი ვახუშტი ბაგრატიონი. მას ოთხმოცამდე ქალაქი აქვს განხილულ-აღწერილი და განასხვავებს-სიდიდის, ხასიათის, მნიშვნელობის მიხედვით. ვახუშტი ბატონიშვილი ძირითადად ეხება პოლიტიკურ ისტორიას, შედარებით ნაკლებად ეკონომიკურ და სოციალურ მხარეს. აღსანიშნავია, რომ ვახუშტიმ სცადა ქალაქების ტიპოლოგიის შემუშავება და კონკრეტული პრინციპით მათი განხილვა. იგი ერთმანეთისგან განასხვავებს ქალაქს, დედაქალაქს, მცირე ქალაქს, დაბას და სხვა. სწორედ მან გაამახვილა ყურადღება კონკრეტულ ნიუანსზე, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, როცა ქალაქებზე ვსაუბრობთ. მისი აზრით, ქალაქობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ თავდაცვითი ნაგებობების არსებობა. *„საჭიროა მას ჰქონდეს მმართველობა და განწყობილება ქალაქთა. კვალად რაოდენნი დაბანი და ციხოვან-კოშკოვანი დავსწერეთ, იგინი მათ უწოდებენ ქალაქად, არამედ ვინადგან არა აქუსთ მართველობა და განწყობილება ქალაქთა, აქ დაბად ვსთქვით“¹*

ქართულ წერილობით წყაროებში გვხვდება სხვადასხვა ტიპის დასახლებათა სახელები ქალაქი, ციხე-ქალაქი, დაბა, სოფელი, ციხე, უბანი და სხვ. ადრეულ პერიოდში მკვლევართა ნაწილი, ქალაქის ცნებას განსაზღვრავდა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ან ხელოსნური წარმოება-ვაჭრობის თვალსაზრისით თუ ქალაქის განსაკუთრებული წყობის არსებობით. ჩემი აზრით, ქალაქის ცნების განსაზღვრისას, საჭიროა ყველა ეს მახასიათებელი გაერთიანდეს და დაემატოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, თავდაცვითი და კულტურული ფუნქციები. წერილობით წყაროებში დასახელებული ქალაქების ნაწილი კი ნამდვილად აკმაყოფილებს ამ პირობებს.

¹ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1941, გვ. 12.

პ. იოსელიანმა თავის მონოგრაფიაში, წარმოადგინა ძველი ქალაქების წარმოშობის და საქალაქო ცხოვრების რიგი საკითხები. მისი წიგნი ძველი და ახალი ქალაქების შესახებ, რომელიც 1850 წ. დაიბეჭდა რუსულ ენაზე, ვახუშტის შემდეგ პირველი სერიოზული ცდა იყო ქართული ქალაქების შესასწავლად. მისი ნაშრომი გეოგრაფიული ლექსიკონის ხასიათისაა. იგი მოკლედ მიმოიხილავს ძველ თუ ახალ ქალაქს. ავტორი, იძლევა გარკვეულ დაკვირვებებს ქალაქთა წარმოშობის საკითხზე. მისი აზრით, ქალაქთა გაჩენა სამხედრო ღონისძიება იყო და ქალაქის პირვანდელი მნიშვნელობაც დაცვას გულისხმობდა. სამართლიანი შენიშვნით, ქალაქები პირველად სწორედ მდინარეთა შესაყარზე წარმოიშვნენ. ამ მხრივ რეგიონში პირველი ადგილი ეჭირა მდ. მტკვარს, რომელიც ქალაქების სამი ძირითადი ჯგუფით იყო წარმოდგენილი (ზემო, შუა და ქვემო ქართლის). ჰიდროგრაფიულად მტკვართან იყო დაკავშირებული ალაზან-ივრისა და ქცია-მაშავერა-დებედას აუზები. ასეთივე ქალაქები ჰიდროგრაფიული ჯგუფებით არის წარმოდგენილი ნაშრომში დას. საქართველოშიც (ჭოროხის, რიონის, ყვირილის აუზები).

2

ს. კაკაბაძეც მცხეთის მაგალითზე განიხილავს ქართულ ქალაქებს და მას მესხურ ტომსაც უკავშირებს. იგი გვთავაზობს ქალაქთან დაკავშირებული ტერმინების ეტიმოლოგიურ განმარტებებს. ფეოდალურ ქალაქებთან დაკავშირებით სხვადასხვა ნაშრომი თუ მონოგრაფიები ეკუთვნით: დ. ხახუტაიშვილს, დ. მუსხელიშვილს, ო. ტყემელაშვილს, ი. გძელიშვილს, ვ. ჯაფარიძეს, ზ. მაისურაძეს, ნ. უგრელიძეს. ასევე აღსანიშნავია ფეოდალური ქალაქების შესწავლაში გ. ლომთათიძის წვლილი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით გაითხარა შემდეგი ქალაქები: უჯარმა, რუსთავი, თბილისი, ახალქალაქი, ურბნისი.³

სოციალურ-ეთნიკურ საკითხებს ეხება გ. მელიქიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის

² ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. I. თბ. 1968, გვ. 6, (II. Иоселиани, города существовавшие и существующие в Грузии. Тифлис. 1850).

³ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. თბ. 1968, გვ. 14.

საკითხისთვის“.⁴ ქალაქის მცხოვრებთა მთავარი სოციალური ფენა მოვაჭრე-ხელოსანი მოსახლეობა, მისი აზრით, ახლოს იდგა თავისუფალ გლეხობასთან-„მინისმოქმედ და მეომარ“ მოსახლეობასთან. ყურადღებას აქცევს მცხეთასა და ურბნისში ებრაელთა კოლონიების არსებობას, რომელთა საქმიანობა ძირითადად ვაჭრობა-ხელოსნობა იყო და ასკვნის, რომ ვაჭრობას მისდევდა არამართო ებრაული ნაწილი არამედ ადგილობრივი ელემენტიც.

შ. მესხიამ დეტალურად შეისწავლა ფეოდალური ქალაქები და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა, იმ ხელშემწყობ პირობებზე, რამაც გამოიწვია არსებული ქალაქების მოძლიერება და ახალი ქალაქების წარმოშობა-განვითარება, რომელსაც არაერთი მონოგრაფიაც მიუძღვნა.⁵ მისი აზრით, ძვ. წ. VI-IV ს.ს-ში როდესაც ხდება სოფლის მეურნეობის შემდგომი ამაღლება, ხელოსნობა-ვაჭრობის დაწინაურება, საქართველოში დგება პირობები საქალაქო ცხოვრების წინსვლისთვის. იგი ძირითადად ქალაქთა სოციალური ყოფით იყო დაინტერესებული. ფეოდალური ქალაქების შესწავლის კუთხით მნიშვნელოვანია მისი „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში“, ნაშრომის ძირითადი ნაწილი XVII-XVIII ს.ს. ქალაქების შესწავლას მოიცავს, თუმცა წინა პერიოდის ქალაქებსაც ეხება. ⁶

ა. აფაქიძე მცხეთის მაგალითზე დეტალურად მიმოიხილავს, ზოგადად ქართული ქალაქის საპრობლემო საკითხებს, მისი გაჩენის დროსა და პირობებს, ქალაქის იერსახეს, შემადგენელ ნაწილებს, ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და სხვ. ა. აფაქიძის აზრით, ქალაქის მნიშვნელობაში იგულისხმება გალავნით შემოზღუდულობა, რაც ასახულია ქართულ წყაროებში მეორე შედგენილი ტერმინით „ციხე-ქალაქი“, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში შექმნილი ტერმინია.⁷ მას რეალურად მიაჩნია, რომ უცხო წარმომავლობის „ქალაქზე“ უწინარესი ადგილობრივი ტერმინი, გალავნით შემოზღუდული უძველესი დასახლებების აღსანიშნავად ქართული „ციხე“, „ქართი“-

⁴ გ. მელიქიძე. საქართველოს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისთვის. თბ. 1955, გვ. 161-162.

⁵ შ. მესხია. ხელოსნობა ძველ საქართველოში. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982, გვ. 9.

⁶ Ш. Месхиа. города и городские строи феодальной Грузии. тб 1960, 10-18.

⁷ ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ. 1963, გვ. 160.

ქართლი უნდა ყოფილიყო. „ციხე“-ქართლი, ადრევე უნდა ქცეულიყო მის გარშემო თავმოყრილი მოსახლეობის „დედაციხედ“. ავტორი დიდი მცხეთის განხილვისას თვით „უბნის“ ეტიმოლოგიასაც ეხება. მისი აზრით, აშკარაა, რომ „უბანი“ უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება და ადრეელინისტურ ხანაშიაც გავრცელებული ჩანს. მცხეთის-არმაზციხის, საპიტხშოს, წინამურის, სარკინეს, ზემო ავჭალის უბნები და სხვა. ცალკე ეხება ქალაქთა სოციალურ მახასიათებლებს და ეთნიკურ შემადგენლობას. რაც შეეხება მცხეთას, დედაქალაქობის ხანაში სოციალურად დიფერენციატრებული და ეთნიკურად ჭრელი ჩანს.

ს. ჯანაშიაც ეხება XI–XIII სს. ქალაქების საკითხს და ყურადღებას ამახვილებს საგარეო ვაჭრობაზე.⁸ ნ. ბერძენიშვილი კი თავის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის თუ სხვა ნაშრომებში, ძირითადად იკვლევს ქალაქის ეკონომიკურ მდგომარეობას, გზების როლსა და მნიშვნელობას საქალაქო ცხოვრების განვითარებაში.⁹

ივანე ჯავახიშვილი შეისწავლის ქართული ქალაქებს ძირითადად წერილობითი წყაროების მიხედვით. იგი მთავარ ნაკლად თვლიდა, რომ ქალაქი ჯერ კიდევ არ იყო არქეოლოგიურად ისე შესწავლილი, რომ „საქალაქო კულტურის“ გასაცნობად გამომდგარიყო. ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს დასახლების სხვადასხვა ტიპებს, ქალაქების შემადგენელ ნაწილებს, საქალაქო, სავაჭრო და საზოგადოებრივ ნაგებობებს და გვანძდის ტერმინ ქალაქის ანალიზს.¹⁰ მას ხსენებულ ნაშრომში, ქართული–უცხოური წყაროების შეჯერების საფუძველზე, განხილული აქვს: ციხე, გალავანი, ქარვასლა, ფუნდუკი, საგუმბაგონი, ჭიშკარი, ბაზარი, მოედანი, სააჯო კარი, სასახლე, ქალაქის ზღუდე, დარბაზი, სალარო და სხვ. იგი ქალაქებს განიხილავდა, როგორც ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრებად. მისი ვარაუდით, ახალქალაქის მიხედვით უბლედო, ე.ი. გაუმავრებელი ქალაქების არსებობაა დასაშვები ფეოდალურ საქართველოში, ქალაქის აგების ტექნიკური საშუალებებს გარჩევა ატენის მიხედვით, ქალაქების როგორც ადმინისტრაციული ცენტრების ჩამოყალიბების საკითხის დამუშავება

⁸ ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. თსუ შრომები. ტ. II თბ. 1952, გვ. 412-434.

⁹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I. თბ. 1964, გვ. 187-194.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისთვის. I. თბ. 1946, გვ. 51.

უჯარმისა და თბილისის მიხედვით და სხვ. მისი აზრით, ქალაქის მთავარი მახასიათებელი მისი ძლიერი ეკონომიკა იყო. „ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების საუკეთესო გამომხატველად ქალაქების სიმრავლე და სიმდიდრე ითვლება“.

ასევე ფეოდალურ ქალაქები შესწავლილი აქვს მ. ლორთქიფანიძეს, რომელსაც საქართველოს გაერთიანება და ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა ორ ეტაპად ესახება. პირველად ქართული მიწების დიდი ნაწილის პოლიტიკური გაერთიანებით სრულდება, როდესაც პოლიტიკური წინ უსწრებს ეკონომიკურ გაერთიანებას. შესაბამისად, ამ პერიოდში ქალაქები არ წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას, ხოლო შემდეგ იქმნება ხელსაყრელი პირობები საქალაქო ცხოვრების დანაწილებისთვის. იზრდება ქალაქების მნიშვნელობა და ქალაქები თუ მოქალაქეები ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ. ფულადი შემოსავლის უზრუნველყოფა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების ე.ი. ქალაქების მთავარ ფუნქციად იქცევა.¹¹

დ. მუსხელიშვილი კონკრეტულად ქალაქ უჯარმის მაგალითზე გვთავაზობს საინტერესო შეხედულებებს.¹² ასევე მას ეკუთვნის ფეოდალური საქართველოს და ამიერკავკასიის როლის წარმოჩენა საერთაშორისო ვაჭრობაში IV–XIII საუკუნეებში.¹³ ფეოდალურ ქალაქებს შეისწავლის ასევე ლ. ჭილაშვილი, რომელიც მიმოიხილავს ძველი ქალაქების ტოპონიმიკას-ტიპოლოგიას, მათ მნიშვნელობას სტრატეგიული პუნქტების და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების მიხედვით.¹⁴ ქართული ფეოდალური ქალაქების ისტორია დაკავშირებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრებასთან. სწორედ ამ საკითხს ეხება ვ. გაბაშვილი თავის ნაშრომებში.¹⁵ სოციალური ურთიერთობების, რიგ საკითხებს მიმოიხილავს და ასევე საგარეო ვაჭრობის ხასიათს მახლობელი აღმოსავლეთის ცენტრებთან. საინტერესო ნაშრომი აქვს შუა საუკუნეების

¹¹ მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ. 1963, გვ. 39-41.

¹² დ. მუსხელიშვილი. ციხე-ქალაქი უჯარმა. თბ. 1966.

¹³ დ. მუსხელიშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოსა და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. თბ. 1970.

¹⁴ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. თბ. 1968.

¹⁵ ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმ. ქალაქები IX–XIII ს.ს. ნარკვევები მახლობელი აღმ. ქალაქების ისტორიიდან. თბ. 1966.

ქალაქებზე მ. გაბაშვილს.¹⁶ ამ პერიოდის ქალაქებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს დაფიქსირებული რ. მეტრეველს.¹⁷ არსებულ წერილობით წყაროს, თუ არქეოლოგიურ გამოკვლევებს ეყრდნობა გ. აფრასიძე ნაშრომში „საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები“.¹⁸ ქ. ნადირაძე კი განიხილავს ქალაქს ქართულ ისტორიულ სივრცეში.

ასევე აღსანიშნავია, ატენის ხეობის შესახებ ისტორიულ–ეთნოგრაფიული ნარკვევი, რომელიც ეკუთვნის ს. მაკალათიას. სადაც მიმოხილულია ატენის კონკრეტული მახასიათებლები და არსებული ცნობები. ატენის ტოპონიმის კვლევას მიუძღვნა თავისი ნაშრომი თამარ მესხმა, რომელიც საინტერესო შეხედულებებს გვთავაზობს ხეობის წარსულთან დაკავშირებით.

რაც შეეხება, ლაპიდარულ წარწერებს მნიშვნელოვან და უტყუარ ცნობებს გადმოგვცემენ. ატენთან დაკავშირებით საინტერესოა თ. ბარნაველის „ატენის სიონის წარწერები“. სწორედ ტაძრის წარწერა გვამცნობს ქალაქის მშენებლობას, რომელზეც დეტალურად ვისაუბრებთ. ატენის სიონის წარწერები განხილული აქვს გ. აბრამიშვილს, რომელიც გვიზიარებს საკუთარ და სხვა მკვლევართა შეხედულებებს.¹⁹ ასევე ზ. ალექსიძე შეისწავლის ატენის სიონის სომხური წარწერებს და გვთავაზობს შესაბამის კომენტარებს.

²⁰.

ფეოდალური ქალაქების არქეოლოგიურ კვლევას რაც შეეხება, რამდენიმე ეტაპად წარიმართა: პირველად 1936 წ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დმანისი გაითხარა, რომელიც დ. მუსხელიშვილმა შეისწავლა და გამოსცა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნაშრომი. ამ პერიოდიდან იწყება ქალაქების ინტენსიური შესწავლა. 1948–50 წლებში კვლევის ობიექტად იქცა შემდეგი ქალაქები: თბილისი, რუსთავი, უჯარმა. ამ კვლევის ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი იყო და მისი აზრით, ფეოდალური ქალაქი უნდა შესწავლილიყო მასზე დაქვემდებარებული ისტორიულ–გეოგრაფიული და

¹⁶ მ. გაბაშვილი. საქართველოს ქალაქები XI-XII სს-ში. თბ. 1981.

¹⁷ რ. მეტრეველი. შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში XII ს. თბ. 1973, გვ. 294-302.

¹⁸ გ. აფრასიძე. საქართველოს შუა საუკუნეების ქ-ები XI-XIII სს. თბ. 1984.

¹⁹ გ. აბრამიშვილი. ატენის სიონი. თბ. 2012.

²⁰ ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ. 1978.

არქეოლოგიური კვლევის შესაბამისად. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფეოდალურ ციხე-ქალაქებს, როგორც სოციალურ მტკიცე დასაყდენს.²¹ მან, წინ წამოსწია ქალაქებთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: გზები, საბაჟოები და სხვ.

თავი I.

ატენის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ა) მდ. მტკვრის აუზში მდებარე ქალაქთა განვითარება და მათი როლი

ქვეყნის ცხოვრებაში

ძველი ქართული ქალაქების შესასწავლად მრავალი წყარო არსებობს, თუმცა უპირატესობა მაინც წერილობით და არქეოლოგიურ მონაცემებს ენიჭება. არსებითად, ძირითადი ცნობები კი გვხვდება წერილობით წყაროებში: „მოქცევაი ქართლისაჲში“, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაჲში“, სხვადასხვა ტიპის ცნობებია ქართლის ცხოვრების სხვა თხზულებებში და აგიოგრაფიულ ნაწარმოებებშიც. ზოგიერთ საინტერესო ცნობას კი შევხვდებით უცხოურ წყაროებშიც (ქსენოფონტე, სტრაბონი, პტოლემეოსი და სხვ.).

ძველ ქალაქებზე მსჯელობისას, წერილობითი წყაროები უმთვარესად აქცენტს მდინარე მტკვრის ხეობაზე აკეთებენ, რადგან იგი უძველესი დროიდან მოყოლებული, ძირითად სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენდა. ადრებრინჯაოს ხანაში, მტკვრის ორივე ნაპირზე, ძველ მოსახლეთა კერები, საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ განლაგებული. ეს ტერიტორია საუკეთესო იყო მიწათმოქმედებისთვის, მდინარე კი შესაბამისი ორიენტირი სხვებთან დასაკავშირებლად. ე.ი. ადრებრინჯაოს ხანაში ხეობა უკვე ათვისებულია და ზოგიერთი პუნქტის პირველობაც გამოკვეთილი.

ძველ ქალაქთა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებობა მიუთითებს, რომ სწორედ ამ ნაპირზე გადიოდა მთავარი გზა, რომელმაც ბუნებრივად მიიზიდა მოსახლეობა. რეგიონში ადამიანთა ცხოვრების კვალი აღმოჩნდა ლამისყანაში და მდინარეების კავთურასა და თეძამს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე ადგილას

²¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I. თბ. 1964, გვ. 49.

დადასტურდა პალეოლითური (მუსტიეს ხანა) იარაღები. შიდა ქართლის ტერიტორია ინტენსიურად იყო დასახლებული ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან. აღმოჩენილია ადრინდელი ელინისტური ხანის ქალაქური ტიპის მნიშვნელოვანი დასახლებები: სამადლო, ნასტაკისი, ციხიანგორა, ალაიანი. გამოვლენილია ელინისტური ხანის ფენები (სარკინესა და ურბნისის ნაქალაქარებზე, გორის ციხეზე). არქეოლოგიურ აღმოჩენებთან ერთად, ანტიკური ხანის შიდა ქართლის საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე მეტყველებს სტრაბონის ცნობაც: „იბერია კარგადაა დასახლებული მეტწილად, როგორც ქალაქებად, ისე დაბეებად, ასე, რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესით აგებული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები“. ამასვე უნდა მოწმობდეს მცხეთაში ხუროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის თანამდებობის არსებობა. შიდა ქართლის ტერიტორიაზე, აღმოჩენილი ელინისტური ხანის მონეტების სიმრავლე მეტყველებს, იბერიის ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გარე სამყაროსთან. აქ იჭრებოდა ალექსანდრე მაკედონელის მონეტათა მინაბადები-იბერიული სტატერები, აღმოჩენილია მაკედონელის ორიგინალური ოქროს სტატერი (მცხეთა) და სხვადასხვაგვარი მონეტები.²²

შიდა ქართლის რაიონი, თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის გამო გამოირჩევა ნამოსახლარების გარეგანი სპეციფიკით. ამდენი გორა-ნამოსახლარი სხვაგან არ გვხვდება. მიწათმოქმედებისთვის საჭირო პირობების არსებობამ ამ რეგიონში ძველი დროიდანვე განასახლა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ნამოსახლარების გათხრებმა, დაადასტურა ერთმანეთის მონაცვლე ფენებში მოსახლეობის ცხოვრების უწყვეტობა. განსაკუთრებით მძლავრი ნამოსახლარები გვხვდება ამ ადგილებში გვიან ბრინჯაოს ხანიდან. მეურნეობის ინტენსიფიკაცია, რკინის იარაღების შემოსვლა და მეტალურგიის დანინაურება ახალ ცვლილებებს იწვევდა საზოგადოებაში. პირველი ათასწლეულის შუახანები სტაბილური განვითარების და წინსვლის უტყუარი ნიშნებით ხასიათდება, რაც გამოიხატება ნივთიერი კულტურის ძეგლებში. საზოგადოებაში არსებული ცვლილებები ხდება, რის შემდეგაც ზედა საფეხურზე ხვდებიან გარკვეული

²² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. ი. აბაშიძე, ა. აფაქიძე... რედაქციით. თბ. 1990, გვ. 15-16.

სოციალური ჯგუფის წარმადგენლები, რომლებიც უპირატესობას ამჟღავნებენ სოციალურად და ქონებრივად. იქმნება მმართველი ფენების ისეთი ჯგუფები, რომელთა წევრებიც განსაკუთრებული პატივით იკრძალებიან, როგორც მაგალითად, ალგეთში, ხალგორში, ყანჩაეთში და სხვ.²³

ქართლის ერთეულის ასეთი წინსვლა ძვ.წ IV–III ს.ს. მიჯნაზე გარე ძალის მიერ იქნა შეჩერებული. მისი შედეგი–გადამწვარი და ნაცრად ქცეული ფენები თითქმის ყველა ნაქალაქარზე შეიმჩნევა (სარკინეე, მცხეთა, ურბნისი). წერილობით წყაროებში ამ ამბავმა ასახვა ჰპოვა, როგორც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ ქართლში. წყაროების მიხედვით შემდეგი პერიოდი ფარნავაზის რეფორმისტულ ღონისძიებებზე მოდის, რომელმაც ქვეყანა განამტკიცა ადმინისტრაციულად. სწორედ ამ ამბებთან მიმართებაში, უცხო ძალის ქვეყანაში შემოჭრასა და სხვა პოლიტიკური ამბების თხრობის პარალელურად, შემოდის ქართლის მათიანეში ქართული ქალაქების ხსენება და მათი ისტორიის თხრობა.

მდინარე მტკვრით, უძველეს ხანაშივე ხდებოდა ურთიერთობა ანატოლია-მცირე აზიის და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის კულტურულ ცენტრებთან. გეოგრაფიული გარემოს თავისებურება სამ ნაწილად ჰყოფდა მტკვრის ხეობას: 1. ხეობის ზედა ნაწილი მთიანი რაიონი, 2. მტკვრის ხეობის შუა– შიდა ქართლის ბარი, ზომიერი ჰავით და შესაბამისად კარგი სამინათმოქმედო რაიონით, 3. ქვედა–ცხელ კლიმატიანი და თბილი საზამთრო პერიოდის გამო, მდიდარი საზამთრო საძოვრებით. მიუხედავად განსხვავებული კლიმატურ–გეოგრაფიული მახასიათებლებისა სამივე ზონა ერთი სამეურნეო ყოფით ხასიათდებოდა. ლეონტი მროველი ჩამოთვლის მტკვრის ხეობის ქალაქებს, თუმცა არასრულია: წუნდა, ხერთვისი, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, მცხეთა, სარკინე, რუსთავი, ზანავი, ხუნანი, ოძრხე.²⁴

²³ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. ი. აბაშიძე, ა. აფაქიძე... რედაქციით. თბ. 1990, გვ. 13-14, მიხედვით (Б. Куптин археологические раскопки в триалети. 1941, 40), გ. მელიქიშვილი. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისთვის. 1955

²⁴ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. I, გვ. 22.

მცხეთის, კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონები წარმოადგენენ ნაწილს ისტორიული შიდა ქართლისა, რომელსაც ძველად ზენა სოფლადაც მოიხსენიებდნენ. გეოგრაფიული ფაქტორის და მდ. მტკვრის გათვალისწინებით ეს ტერიტორია დაყოფილი იყო ზემო, შიდა და ქვემო ქართლად. შიდა ქართლი ვრცელდებოდა აღმოსავლეთ არაგვსა და თბილისამდე, ჩრდილოეთით კავკასიონის ცენტრალურ ქედამდე, დასავლეთით–ლიხის ქედამდე, ხოლო სამხრეთით–თრიალეთის ქედამდე და ფარავნის ტბამდე. XVII–XVIII ს.ს. შიდა ქართლის ჩრდ–დასავლეთ ნაწილს ზემო ქართლიც ეწოდებოდა. XVII ს–ში ოსმალეთის მიერ სამცხე–საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, ისტორიული ზემო ქართლი (გვიანდელი სამცხე–საათაბაგო) დიდი ხნით ჩამოშორდა ქართლის სამეფოს და სახელწოდება გადავიდა შიდა ქართლის ჩრდ–დასავლეთ ნაწილზე. შიდა ქართლის ჩრდილოეთით და სამხრეთით კავკასიონისა და თრიალეთის მაღალი ქედებია, რომელთა მტკვრისკენ დაშვებული განშტოებები ზეგნებს ქმნიან. მდინარეები: ძამა, ტანა, თეძამი, და კავთურა, მტკვრის ხეობის ქვედა ნაწილში მცირე ვაკეებს ქმნიან, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით დოღლაურის, ტირიფონის და მუხრანის ვრცელი ველებია, რომლებსაც კვეთავენ მდინარეები: ფრონე, ლიახვი, ლეხურა, ქსანი და არაგვი. შიდა ქართლის მდინარეთა უმრავლესობა უძველესი დროიდან გამოიყენება სარწყავად. შიდა ქართლის ვრცელი დაბლობები და საზაფხულო–საზამთრო საძოვრები ქმნიდნენ ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების ხელსაყრელ პირობებს. სწორედ რეგიონის ოპტიმალურმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა ზოგადად მისი როლი. ამ რეგიონზე გადიოდა უძველესი დროიდანვე მნიშვნელოვანი გზები. ჩრდილოეთიდან მოემართებოდა დარიალის ანუ არაგვის გზა, რომელიც გადიოდა მცხეთამდე. ეს გზა ფუნქციონირებდა, ჯერ კიდევ ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან. ამ გზას აქტუალობა არც შემდგომ პერიოდში დაუკარგავს. თუმცა XIII ს–ში მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ, ამ გზის ეკონომიკური მნიშვნელობა დაეცა. XVIII ს. II ნახევარში რუსეთ–საქართველოს ურთიერთობების გაცხოველებამ კვლავ გამოაცოცხლა დარიალის გზა. ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები, თუ არქეოლოგიური მონაცემები მონიშნავენ, რომ ანტიკურ ხანაში ინდოეთსა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი სავაჭრო–სატრანზიტო გზის ერთი

მონაკვეთი, სწორედ ამიერკავკასიაზე კერძოდ კი შიდა ქართლზე გადიოდა. ეს გზა მტკვრის მარცხენა ნაპირს გაივლიდა კერძოდ—მცხეთას, მუხრანს, სამთავისს, გორსს, ურბნისს, რუისს. „ამიერკავკასიაზე გადიოდა ასევე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მოემართებოდა და მცხეთამდე აღწევდა, აქედან კი არაგვის ხეობით ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა. მნიშვნელოვანი მაგისტრალი ე.წ. „ცხვრის გზა“, რომელიც საქართველოს დიაგონალურად ჰკვეთდა და კახეთ-ჰერეთს ტაო-კლარჯეთთან აკავშირებდა, თრიალეთის ქედის თხემს გასდევდა და მრავალი განშტოებით უკავშირდებოდა მის გარდივარდმო მდებარე „ქვეყნებს“. ამ უძველესმა გზამ, გარკვეულ ისტორიულ პირობებში, ხელი შეუწყო ზემოხსენებულ „ქვეყანათა“ შერწყმას და საბოლოოდ საქართველოს გაერთიანებას“. შიდა ქართლი სამხრეთ საქართველოს უკავშირდებოდა: მტკვრის, ძამის, ტანის, თეძმის, კავთურას, ნიჩბისის და ძეგვის ხეობებზე გამავალი გზებით. დასავლეთ საქართველოს ლიხის ქედზე მდებარე პერანგას, ზემოჯვარ-კორტოხის, დედაბერას, რიკოთის და სურამის ციხისძირის უღელტეხილებით. ჩრდილოეთ კავკასიას კი დარიალის გზის გარდა ლიახვის ხეობით, სბისა და როკის უღელტეხილებით.²⁵

ძველი სამოსახლოებიდან ყველა იქცა ქალაქად, რაც არამართო ეკონომიკური ფაქტორით იყო განპირობებული. ეკონომიკურთან ერთად, საჭიროა ასევე გეოგრაფიული უპირატესობის გათვალისწინებაც. მტკვრის ხეობის ქალაქებს მთავარი უპირატესობა ჰქონდა, რომ ისინი მდინარის ნაპირას იყვნენ გაშენებული და მაგისტრალური გზის სიახლოვეს მდებარეობდნენ.

ქალაქების წარმოშობის საკითხთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური დიფერენციაცია. ახალი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, ახალი მწარმოებელი მასა, ხელოსნები და მათზე დამოკიდებული ვაჭრები მომრავლდნენ. ქალაქები ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრებად გვევლინებიან, რომელთა წარმატება

²⁵ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. ი. აბაშიძე, ა. აფაქიძე... რედაქციით. თბ. 1990, გვ. 12-13.

დამოკიდებული იყო გზაზე და ბაზარზე. ძველი ქალაქები, გზებზე მდებარე პუნქტებია, სადაც წინა პლანზე საბაზრო ადგილია წამოწეული.

რაც შეეხება, დასახლების ტიპების ცვლილებას, ძირითადად უკავშირდება გვაროვნული საზოგადოების რღვევასა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობას. ძველი ქართული წყაროები, გვთავაზობენ დასახლების სახელთა ნაირსახეობას: ქალაქი, ციხე, დაბა, ციხე-ქალაქი, და სხვ. თუმცა, სახელთა ნაწილი უცხოური წარმოშობისაა, რომლის შემოსვლისა და დამკვიდრების პერიოდში, ადგილობრივი ტერმინებიც კვლავ იხმარებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დასახლების ტიპი „ქალაქი“. ნიკო მარს „ქალაქი“ არაქართული წარმოშობის ტერმინად მიაჩნდა. მისი აზრით, ტერმინი მომდინარეობდა სირიულიდან „ქარქა“-დან რაც შემორტყმას, შემოზღუდვას ნიშნავს. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ქალაქის აშენების უმთავრესი პირობა მისი შემოზღუდვა იყო. ქართლის ცხოვრება-„ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ“ „და მეფობდა არსოვ, ქალაქსა ზღუდენნი მოაქმნა“. ზღუდე და თავდაცვითი ნაგებობანი ქალაქის ძირითადი ატრიბუტი იყო, რაც თვით ტერმინშივეა გაცხადებული. ქალაქის მთავარ ატრიბუტად ითვლებოდა ასევე ქულები-სავაჭრო უბანი.²⁶

ძველი ქართული ქალაქები ეკონომიკურად დაწინაურებულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ქალაქების დაწინაურებისთვის გადამწყვეტი ფაქტორები იყო: სტრატეგიული მდებარეობა, საქალაქო მეუწეობის მრავალი დარგი, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება და სავაჭრო ცენტრად ქცევა, საქარავნო გზების სიახლოვე. თითოეული ქალაქი ყველა ფაქტორს ვერ დააკმაყოფილებდა, თუმცა, რომელიმე გადამწყვეტი ხდებოდა ქალაქის დაწინაურების საქმეში. ბუნებრივია, რომ ქალაქები განსხვავდებიან დანიშნულების, სიდიდის თუ მნიშვნელობის მიხედვით.

რაც შეეხება ქალაქთა ტიპებს, პირობითად შეგვიძლია განვიხილოთ სამ ძირითად ჯგუფად, დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით: 1. დედაქალაქი, 2. ქალაქები-სტრატეგიულ პუნქტები, 3. ქალაქები-ვაჭრობა ხელოსნობის ცენტრები. ქალაქთა ამგვარი დაყოფით, ატენი შეგვიძლია სტრატეგიულ პუნქტთა კატეგორიაში მოვათავსოთ.

²⁶ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I, გვ. 25.

ზოგიერთი ქართული ქალაქის შესახებ, ძალიან მწირი ინფორმაცია გვხვდება წერილობით წყაროებში. ზოგჯერ უბრალოდ სახელწოდების ფიქსაციასთან გავქვს საქმე. დასავლეთ საქართველოს ქალაქებთან მიმართებაში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა გვაქვს. როდესაც, წერილობითი წყაროები არ გვაძლევენ საკმარის ინფორმაციას ამ ნაკლს ავსებს არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური მასალები. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ XI–XII ს.ს. საქართველოში ქალაქები განვითარებულია, როგორც ეკონომიკური, ისე ინტენსიური ვაჭრობა–ხელოსნობის კუთხით, რაზეც პირდაპირ მეტყველებს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. ფეოდალური ქალაქების ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო VI–VIII ს.ს. და ეს პროცესი დამთავრდა IX–X ს.ს.-ში, ხელსაყრელი სოციალურ ეკონომიკური პირობის არსებობით. საქართველოში შემორჩენილი ანტიკური ქალაქები, გზას უთმობენ ფეოდალურ ქალაქებს.

ლ. ჭილაშვილი პირობითად, რამდენიმე ეტაპად ჰყოფს ქალაქთა განვითარების ისტორიას და მათზე ზემოქმედების ფაქტორებს. ჩემი აზრით, ეს დაყოფა მისაღებია და მნიშვნელოვან ნიუანსებზე კეთდება აქცენტები.

- ახ. წ. IV ს–დან ფეოდალური ურთიერთობების განვითარების შედეგად, დაქვეითების გზას ადგანან ძველ ქართულ ქალაქები, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. პირველ ეტაპზე საქალაქო მეურნეობა კვლავ მაღალ დონეზეა, შემდეგ კი ნელ–ნელა განიცდის დაცემას.
- ფეოდალიზმის ჩასახვით, მთლიანად იცვლება ქალაქთა ეკონომიკური მდგომარეობა და საფუძველი ეძლევა მათ კიდევ უფრო განვითარებას. IV–VI ს.ს. გარდამავალი ეტაპია. ქალაქებისთვის დამახასიათებელია ნივთიერ კულტურაში ძველი ელემენტების გადმონაშთების და ახალ ელემენტთა სიმრავლე. გარკვეული წინააღმდეგობები ექმნება ქალაქებს VI–IX ს-ის შუა ხანებამდე, ეს იქნება მტრის გაუთავებელი შემოსევები, მკვეთრად ეცემა საქალაქო მეურნეობა და მინიმუმამდე დადის საგარეო ვაჭრობაც. ერთიანობაში ქვეყანა რთული პოლიტიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა.

- ადრეფეოდალურ ხანაში (IV–VIII ს.ს.) ვინაიდან ნაკლებად იყო პირობები ქალაქების წარმოშობისთვის, არსებობას განაგრძობენ ძველი ანტიკური ქალაქები, თუმცა ნაკლები ეფექტურობით და დაქვეითებული საქალაქო მეურნეობით. არაბთა შემოსევებმა, ბოლო მოუღო ისედაც დასუსტებულ ქალაქებს. თუმცა, გარდამავალ პერიოდშიც აღწევს ზოგიერთი ქალაქი წარმატებას (თბილისი, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი). თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ პუნქტების დანინაურება პირადპირ უკავშირდება კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებას.

„ადრეფეოდალურ ხანაში ქალაქები, ანელებენ იმ შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც ფეოდალიზმის განმტკიცებას სდევნ თან. ერთი მხრივ, ქალაქი აკმაყოფილებს ფეოდალის გაზრდილ მოთხოვნილებებს, მეორე მხრივ, ქალაქში თავშესაფარს პოულობს გამოქცეული გლეხობა, რომელიც აქ ახალ ფეოდალურ კაბალაში ექცევა. როგორც ცნობილია, XII–XIII ს.ს. ჩვენში თითქმის ყველა ქალაქი მეფის ან მსხვილი ფეოდალის საკუთრებას წარმოადგენს და ისეთივე, ფეოდალური ექსპლუატაციის ობიექტი იყო, როგორც სხვა დანარჩენი საფეოდალო ერთეულები. ქალაქები სასაქონლო წარმოების ცენტრებად იქცევიან. თუმცა ეს წარმოება არ წარმოშობს კაპიტალიზმს. გაერთიანების ხანის საქართველოს, ფეოდალური მეურნეობის სასაქონლო წარმოება სამომხმარებლო მიზნებს ემსახურებოდა და ამიტომ, ვერ შეარყევდა ფეოდალიზმის საფუძვლებს. ქალაქებმა, ჰპოვეს თავისი ადგილი ფეოდალიზმის პირობებში და მის დანამატად იქცნენ. როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ისე ფეოდალები იყენებდნენ კონკრეტულ ქალაქებს, თავისი ინტერესებისთვის თუ დასაყრდენად. ფეოდალიზმის დროს სასაქონლო წარმოებაზე, გარკვეულწილად მოქმედებდა ფეოდალური მეურნეობის ბატონობა, რომელიც ძლიერი იყო და ამუხრუჭებდა სასაქონლო მეურნეობის განვითარებას. ამგვარად, ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში პირველ ეტაპზე ქალაქთა როლი მცირეა,

თუმცა შემდგომ ქალაქები და ვაჭარ-ხელოსანთა ფენა ცენტრალური ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენია.²⁷

- IX–XI საუკუნეებში, შესაბამისი ვითარება იქმნება საქართველოში (ეკონომიკური აღმავლობა, ჩამოყალიბდა ძლიერი ქართული სამეფო-სამთავროები) ახალ სოციალურ ყოფაში, ახალი ფეოდალური ქალაქების წარმოშობისა. სწორედ ამ დროს გვევლინებიან ასპარეზე ისეთი ქალაქები როგორცაა: ატენი, ახალქალაქი, თელავი, არტანუჯი, დმანისი. განახლდა ზოგიერთი ძველი ქალაქი-რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი, თავისი განვითარების ზენიტშია თბილისი.
- IX–XI ს.ს. ახალქალაქობის ხანაში გარე სამყაროსთან ურთიერთობა (სავაჭრო, კულტურული თუ პოლიტიკური) მიმდინარეობდა ძირითადად ორი მიმართულებით-ბიზანტიისკენ და სამხრეთის ქვეყნებთან. ამ გარემოებამ გადამწყვიტა ზოგიერთი ქალაქის დაარსება თუ განახლება, როგორც გზაზე მდებარე პუნქტისა. დასავლეთთან ურთიერთობისთვის ძველი ანტიკური გზა (მცხეთა, სარკინე, კასპი, ურბნისი, რიონის ხეობა, ფაზისი) უკვე გამოუსადეგარი იყო და ამიტომ შეიქმნა ახალი მარშრუტი საქართველოს ყველზე უფრო დანინაურებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ უბანზე ტაო-კლარჯეთზე გავლით (თბილისი-სამშვილდე-ახალქალაქი-არტანუჯი-ხოფჩა-ტრაპიზონი..). სამხრეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში ერთ-ერთი გზა, რომელიც თბილისს აკავშირებდა სამხრ. აზერბაიჯანის და ირანის ქალაქებთან ბარდავზე გადიოდა. ამან კი განაპირობა, ამ გზაზე მდებარე ძველი ქალაქების განახლება (რუსთავი, ხუნანი). ასევე განახლდა და გაძლიერდა თბილის-დვინ-თავრიზის ტრასაზე მდებარე დმანისი და სამშვილდე.
- XII–XIII ს.ს. ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ ფეოდალური ქალაქების აყვავების ხანად. ამ დროის ქალაქები, კვლავ წარმოადგენენ ვაჭრობა-ხელოსნობის წამყვან ცენტრებს. თითქმის არ

²⁷ მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. 1963, გვ. 40-41.

არის დარგი, რომელიც არაა განვითარებული ადგილობრივ ქალაქებში (აბრეშუმის წარმოება, მეთუნეობა, ძვირფასი ქსოვილების და ხალიჩების ქსოვა, ოქრომჭედლობა, მინის და კერამიკის წარმოება, საჭურველ-იარაღის დამზადება, ვერცხლის სუფრის ჭურჭლის, ძვლის ნაკეთობათა წარმოება, ტყავის დამუშავება და სხვ.). ამ პერიოდისთვის საქართველო საკმაოდ ძლიერი და დანინაურებული ქვეყანაა აღმოსავლეთში. მისი პოლიტიკური საზღვრებიც, შესაბამისად ასახავს ამ წარმატებას. მისი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები, იმ დროის ცივილიზებულ სამყაროსთან დასტურდება ნუმისმატიკური თუ არქეოლოგიური მასალებით. განსაკუთრებული ურთიერთობა კი მაინც ბიზანტიასა და ირანთან ჰქონდა, მათი მეშვეობით კი ინდოეთთან, ჩინეთთან, ეგვიპტესთან და სხვ. ბიზანტიასთან კავშირი ხორციელდებოდა არტანუჯის გზით, სამხრეთთან კი დვინ-ანისის გზით, თავრიზს და ბარდავ-არდებილის გზით ზენჯანს. ჩრდილოეთთან კავშირი დამყარებული იყო კავკასიონის ბუნებრივი გასასვლელით განსაკუთრებით კი დარუბანდით.²⁸

²⁸ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 169-171.

ბ) ატენი

პირველ რიგში, საჭიროა განვმარტოთ ატენის ეტიმოლოგია, რომელიც უკავშირდება მდ. ტანას. ბუნებრივია, საინტერესოა რას უკავშირდება სახელწოდება ტანა. ტოპონიმები განსაკუთრებულ ცოცხალ ენობრივ ძეგლებს წარმოადგენენ, რომლებსაც საინტერესო ისტორიული ცნობების გადმოცემა შეუძლიათ. ტოპონიმ ტანას ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს და საჭიროდ ვთვლით მათ განხილვას:

ტანა მდინარეა ცენტრალურ ქართლში, ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით არაერთი ვერსია არსებულა ხალხში. ყველაზე გავრცელებლი ვერსიით, „ტანა“ თურმე უკავშირდება ტინს (კლდეს). იმავე ტინი სიტყვისგან ყოფილა წარმომდგარი ტოპონიმი ატენი. სავარაუდოა, რომ ტანა და ტინი სიტყვების მსგავსი ფონეტიკური უღერადობით არის განპირობებული. გ. ბედლოშვილს მიაჩნია, რომ „ტანა (ტან-ა) ქართლური დიალექტური ერთეულია და ნიშნავს მდინარის ერთიან ტანს, მდინარეს შენაკადების გარეშე. „პარალელი შეგვიძლია გავავლოთ გურულ ტანწყალთან, რაც ნიშნავს მდინარის მთავარი ნაწილს შენაკადების გარეშე. ქართლურშივე სიტყვა ტანს მნიშვნელობა გაფართოებია და მდორედ, თხლად მიმაგალ წყლის აღნიშვნა უკისრია. ტანა გაფორმებულია ა სუფიქსით, რაც ობიექტს რაღაცასთან მსგავსებაზე მიგვანიშნებს. ჰიდრონიმი ტანა შეიძლება გავიაზროთ, როგორც ერთიანი უშენაკადო მდინარე“. „ტინი არს კლდე დიდი, მაგარი და დაუმშალველი“ (სულხან-საბა).²⁹ ამ თვალსაზრის, გვთავაზობს სწორედ ს. მაკალათია თავის ნაშრომში, რომელსაც იზიარებენ სხვა მკვლევარებიც და „ტანას“ ეტიმოლოგიის დადგენის სხვა მცდელობა შესაბამისად არ დასტურდება.³⁰ გამონაკლისს წარმოადგენს თამარ მესხი, რომელიც არ იზიარებს გ. ბედლოშვილის დასკვნას, რომ „ჰიდრონიმი ტანა შეიძლება გავიაზროთ, როგორც უშენაკადო მდინარე“. თ. მესხი საკუთარ აზრს, შემდეგი არგუმენტებით ამყარებს, ტოპონიმთა იმავე ლექსიკონში, სადაც ტანას ეტიმოლოგიაა ახსნილი, წედისის განმარტებისას წერია: „ქართლის სოფელი წედისი, გაშენებულია თრიალეთის ქედის

²⁹ გ. ბედლოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ტ. I. თბ. 2002, გვ. 393.

³⁰ ს. მაკალათია. ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 3.

ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. ათრევის (ტანის მარცხენა შენაკადი) ხეობაში. (გ. ბედოშვილი 2002, 492). იმონშებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობასაც „მტკვრის სამხრეთ დასავლეთიდან ერთვის ატენის წყალს (ე.ი ტანას) წედისის ხევი“. აქედან გამომდინარე, ტანა უშენაკადო მდინარე არ ყოფილა და არსებული განმარტებაც მცდარია.³¹

„ტანა“ არაერთგან გვხვდება ჰიდრონიმად მაგალითად, ტანა ჰქვია უდიდეს მდინარეს კენიაში (780 კმ.), ეთიოპიის უდიდეს ტბას (ფართობი 3673 კვ. მ.), რომელიც ზღვის დონიდან 1800 მეტრზე მდებარეობს. ჰეროდოტესთან მოხსენიებული „ტანაისი“ დღევანდელი მდინარე დონია. ამ მდინარეს სტრაბონიც ასახელებს. სტრაბონის გეოგრაფიის მიხედვით, ტანაისი ერქვა მდინარეს, რომელიც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს. ძვ. წ დაახლ. 300 წ, მდინარე ტანაისის მარჯვენა სანაპიროზე დაარსდა ქალაქი ტანაისი, რომელიც ადრიდანვე შავიზღვისპირეთის მეტად განვითარებულ სავაჭრო ცენტრი გახდა. აზოვის რეგიონი, ადრევე იქცევს ბერძნებისა და შემდეგ ვენეციელ ვაჭარ-მეზღვაურთა ყურადღებას. შემდეგ ვენეციელებმა ტანაისში დაარსეს სავაჭრო ცენტრი, რომელსაც ტანა შეარქვეს. ცნობილია, რომ აზოვის რეგიონთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კოლხეთს, ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნის 80–იანი წლებიდან, როდესაც იქ ბოსფორის სახელმწიფო წარმოიქმნა.

ძვ. წ. III ს. ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობას იბერიაც იწყებს. ელინიზმის ხანაში, ქართლის ტერიტორიაზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზით უკავშირდებოდა, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ელინისტურ ქალაქებს ისე მცირე აზიასა და დანარჩენ სამყაროს. ტანას ხეობა ამ დიდი გზის გარკვეულ ნაწილს წარმოადგენდა. თ. მესხი არ გამოირიცხავს, ხეობის სახელწოდება ტანას კავშირი ვეძებოთ კიმერიული ბოსფორის მდინარისა და ქალაქის სახელწოდებასთან „ტანაის“. ასეც, რომ არ იყოს ტანა (მომდინარეობს ინდოევროპული ზმნიდან, რაც თავდაპირველად სწრაფ დინებას ნიშნავს), რომ წყალს ნიშნავს ენათმეცნიერთა კვლევები ცხადყოფს. ტრადიციულად კი ხეობის სახელს მდინარე განსაზღვრავდა.³²

³¹ თ. მესხი. ბერძნული ელემენტი ქართლის ტოპონიმიკაში. თბ. 2015, გვ. 5.

³² თ. მესხი. ბერძნული ელემენტი ქართლის ტოპონიმიკაში. თბ. 2015, გვ. 6-7.

ქართული გრამატიკის კანონების მიხედვით, ტანადან ატენის მიღება შეუძლებელია. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ საბერძნეთში კუნძულ ანდროსზე დასტურდება ტოპონიმი ატენი. თ. მესხს, საინტერესო კვლევა ეკუთვნის და იგი გარკვეულ კავშირს ხედავს საქართველოს და ანდროსის ატენს შორის. სამწუხაროდ არც ანდროსის ატენის ეტიმოლოგიაა შესწავლილი და მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია გამოვთქვათ.

მკვლევარი გვთავაზობს შემდეგ არგუმენტებს: ორივე უძველესი პერიოდიდანვე დასახლებულია და ბუნებრივი პირობებით მსგავსია, სალი კლდეები მათ უსაფრთხოებას განაპირობებდა. ორივესთვის დამახასიათებელი იყო ეკლესია– მონასტრების სიმრავლე. ანდროსის ატენს, სახელწოდება მისი მდებარეობის გამო დაერქვა, რაც ნიშნავს ხედვას, დაზვერვას. საგულისხმოა, ატენის სიონის პირისპირ არის მთა სახელწოდებით „დანახვისი“ (სიმაღლე 1641 მ.), საიდანაც მთელი ქართლი მოჩანს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა: „*დანახვისი დვას მაღალსა მთასა ზედა ეკლესია წმიდისა გიორგისა მჭურეტი ქართლისა*“. ბერძნული ატენის პარალელურად ხეობაში, მისი შესატყვისი ქართული სახელწოდებაც დანახვისი დამკვიდრებულა. უცხო ტოპონიმების ქართულ სინამდვილეში გადმონერგვას მეცნიერები ორი მოვლენით ხსნიან: 1. ხალხთა მიგრაციებით და 2. ტოპოგრაფიული ასლების შექმნით, რომელთაგან ორივე დასაშვებია. თ. მესხი, განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს და ტოპონიმ ატენის ტანას ხევში გადმონერგვას, ანდროსის ატენში მდებარე მონასტერთა ავტორიტეტს უკავშირებს, ვინაიდან ისტორიული წყაროების მიხედვით ეს მონასტრები VII–VIII ს.ს–ში ბიზანტიის ნამდვილ საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა, სადაც თვით კონსტანტინოპოლიდან მიდიოდნენ განათლების მისაღებად. წმინდა ადგილების სახელთა გადმოტანა–შერქმევით, ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ წარმოეჩინათ საქართველოში აგებული სამონასტრო და კულტურულ–საგანმანათლებლო კერების მნიშვნელობა. შესაბამისად დასაშვებია ვარაუდი, რომ ტოპონიმი ატენი ტანას ხეობაში კუნძულ ანდროსიდან გადმოინერგა, დაერქვა ციხეს და ატენის სიონის ავტორიტეტის გამო, ტანას ხეობის სახელწოდებადაც დამკვიდრდა. კონკრეტული მკვლევარი, თავისი ინტერპრეტაციით განსხვავებულ აზრს გვთავაზობს, რომ IX-X ს.ს. ატენის სიონთან

არსებობდა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, რომელიც წინ უსწრებდა გელათის და იყალთოს აკადემიებს.³³

ჩემი აზრით, ამ თვალსაზრისის პირდაპირ გაზიარება რთულია, რადგან არ გაგვაჩნია კონკრეტული ხელნაწერი, რომელიც დაადასტურებდა ატენის სიონის ქართული საგანმანათლებლო კერის არსებობას.

ატენი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, მდ. ტანას ხეობაში, გორიდან 10 კმ. დაშორებით. ატენის ხეობის ისტორიული წარსული ბოლომდე შეუსწავლელია, თუ არ ჩავთვლით სერგი მაკალათიას ნაშრომს და ვახუშტის მიერ შედგენილ მოკლე გეოგრაფიულ მიმოხილვას ამ მხარის, რომელსაც თან დართული აქვს ტანას ხეობის სოფლების ნუსხაც. გამონაკლისს წარმოადგენს ატენის სიონი, რომელზეც არაერთმა მკვლევარმა გაამახვილა ყურადღება.

ვახუშტი ბაგრატიონი ატენის შესახებ გადმოგვცემს: *„ატენი მცირე ქალაქი. მოსახლენი ძირითადად ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, ნაშენი დიდი. და ციხის გორის სამხრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაცა დგება ღვინო წარჩინებული. ჩრდილო კერძ სდის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა, და სდის სხუაცა ცივი წყარო. ატენის სამხრით არს მონასტერი სიონი, გუმბათიანი, კეთილნაშენი, და აწ სმენ ვადამდგარ ეპისკოპოსს ახტალის მაგიერ, ვინაითგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიშ მისი. სიონის პირისპირ დანახვისის ძირში არის მონასტერი ნათლისმცემლისა. დანახვისი დგას მაღალსა მთასა ზედა, ეკლესია წმიდის გიორგისა, მჭვრეტე ქართლისა. ამას ზევით მოერთვის ტანას ხევი“*.³⁴

ტანას ხეობას მიუყვება ატენის ვიწრო გზა. აქ მთავრდება შიდა ქართლის ვაკე და ერთმანეთს ენაცვლება კლდოვანი მწვერვალები, ალპური ბორცვები თუ გორაკები. მდ. ტანასა და მის შენაკადებს, სათავე აქვთ ჯამჯამასა და საცხენისის ქედზე, რომელიც მიედინება და სოფელ ხიდისთავთან უერთდება მდ. მტკვარს. ხეობა საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ყოფილა და მოიცავდა დაახლოებით 30 კმ, სოფ. ლევიტანადან

³³ თ. მესხი. ბერძნული ელემენტი ქართლის ტოპონიმიკაში. თბ. 2015, გვ. 24.

³⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 343.

ხიდისთავამდე. (ლევიტანა არის რუსული Левая тана-დან, ტანას მარცხენა მხარეზე ხეტყის მწარმოებელ ზეზემანს ჰქონია კანტორა და უწოდებიათ ლევიტანა).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ტანა გამოდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, დრის ხევამდე დის აღმოსავლთ, მერმე დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამხრიდან. მტკვრის სამხრეთ–დასავლეთიდან ერთვის ატენის წყალს წედისის ხევი“.³⁵ ვახუშტი ხეობის ბუნების სილამაზის აღწერის გარდა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ატენურ ღვინოზე: „არს ესე ხეობა ვენახოვანი, ხილიანი. ღვინო აქაური უმჯობესი არს ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“.³⁶ ატენის მნიშვნელობას და სტრატეგიულ მდებარეობას ხაზს უსვამს გზები, რომლებიც ტანას ხეობით შიდა ქართლისკენ გადის: მანგლის–თრიალეთისკენ, მესხეთ–ჯავახეთში, საიდანაც ადრე ტაო-კლარჯეთიდან გზა პირდაპირ გადიოდა ბიზანტიის პროვინციებში (დღ.თურქეთი).

ბიზანტიასთან არსებული ცხოველი პოლიტიკურ–კულტურული ურთიერთობა განაპირობებდა აქტიურ მიმოსვლას და გზების დატვირთვას. ბიზანტიასთან შიდა ქართლს უმოკლესი დამაკავშირებელი გზა ჰქონდა ტანას ხეობით. ამ რეგიონმა აქტუალობა შეიძინა მას შემდეგ, რაც სპარსელებმა გააუქმეს იბერიის სამეფო 532 წელს და ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა მცხეთიდან უფლისციხეში გადმოინაცვლა. ამ პერიოდიდან ქართლის ერისთავთა რეზიდენციის სტატუსს იღებს უფლისციხე, რომელიც ბუნებრივად დაცული, ძნელად მისადგომი ქვაბულ–ქალაქი იყო. ამასთანავე, ტანას ვიწრო და კლდოვანი ხეობა მისი თავდაცვის გარანტი იყო. სწორედ აქედან გამომდინარე შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა და VI–VII საუკუნეებში იწყება ამ რეგიონში ინტენსიური მშენებლობა და ჩნდება მჭიდრო დასახლება. ამ ისტორიულ ეპოქას ეკუთვნის და ჩვენთვის გამორჩეული წყაროს ფუნქციაც გააჩნია ატენის სიონს. იგი აშენებულია VII ს-ში და ობიექტურად აღიარებულია ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეულ ძეგლად.³⁷

³⁵ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 342.

³⁶ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1941, გვ. 59.

³⁷ს. მაკალათია. ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 4-5.

აქ არ შევუდგებით ტაძრის ეპიგრაფიკულ აღწერას, რადგან ის საფუძვლიანად შესწავლილია და საკმაო ლიტერატურაც არსებობს. შესაბამისად, გამოვიყენებთ იმ მნიშვნელოვან წყაროებს და ცნობებს, რასაც კონკრეტულად ეს ძეგლი იძლევა. უნდა ავლნიშნოთ, რომ VII ს. მოსახლეობა კულტურული განვითარების მაღალ დონეზე მდგარა, რაზეც მეტყველებს ატენის სიონის ხუროთმოძღვრება, მხატვრული გაფორმება და შემკულობა, რომელიც აკმაყოფილებდა მის ესთეტიკურ მოთხოვნებს. ასევე მისი ფართობიც, მეტყველებს ატენის მოსახლეობის სიმჭიდროვესა და მლოცველთა მრავალრიცხოვნებაზე. შეგვიძლია ასევე განვსაზღვროთ, ატენის სიონის კავშირი უფლისციხესთან, რომელიც წარმოადგენდა პოლიტიკურ ცენტრს, ხოლო ატენის სიონი რელიგიურსა და კულტურულს.

ატენი, თავისებურ გეოგრაფიულ გარემოში შექმნილი ქალაქია, რომელიც ჩაფლულია მაღალ კლდოვან მთებში. ხეობის ორივე მხარე ათვისებულია, სადაც შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია მინათმოქმედებისთვის. ქალაქის დასახლება სავარაუდოდ, ხეობის გასწვრივ უნდა ყოფილიყო განლაგებული, რადგან ხეობის ორივე მხარეს მაღალი კლდოვანი ნაპირები, გამორიცხავდა დასახლების გავრცელებას სივრცეზე. ატენი, გაშენებული უნდა ყოფილიყო სიონის სამხრეთით, ხეობის ორივე ნაპირას. სავარაუდოდ, სიონი ქალაქის ზედა ნაწილს წარმოადგენდა. იგი ვრცელდებოდა მდინარე ტანასა და მისი მარჯვენა პატარა შენაკადის შეერთებამდე, სადაც ორი უძველესი ნამოსახლარია შემორჩენილი. ზედა ზღვარი ქალაქის გადიოდა სიონის ზემოთ, სადაც მდინარე ტანას მარჯვნიდან პატარა წყალი ერთვის. ის მდიდარი და ნაყოფიერი მონაკვეთი, სადაც ქალაქის გაშენება სავარაუდებელი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო. მეურნეობის ძირითადი დარგი იყო მევენახეობა. ხეობაში აღსანიშნავია, არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლე. განსაკუთრებით კი ხეობის ბოლოს ქალაქ გორამდე მთელი ჯაჭვია უძველესი ნამოსახლარების. ასეთებია სამოსახლო გორები მდ. ტანას მტკვართან შეერთებაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თვით გორში, კვერნაქზე, აქვე

მდ. ტანასა და მტკვის შესაყარზე ხიდის ნაშთები შეიმჩნევა, რაც ალბათ ფეოდალური ატენის და გორის კეთილმონყობილი გზების საუკეთესო დადასტურებაა.³⁸

³⁸ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 101-103.

თავი II.

„ახალქალაქობის ხანა“ – ატენის გაქალაქება

საქართველოში მძლავრი ფეოდალური ერთეულების ჩამოყალიბების შედეგად, მყარი საფუძველი ექმნებოდა მთლიანად ქვეყნის გაერთიანებასაც. თითოეული მთავარი, რომელიც თავს მეფედ მიიჩნევდა აფართოებდა ტერიტორიებს მისი სამთავაროს გარშემო და ესწრაფოდა პოლიტიკურ გავლენასაც. მაგალითად, X ს–ში ტაო-კლარჯეთის მმართველებმა შეძლეს და განავრცეს სამხრეთ საქართველოს საზღვრები მდინარე არეზამდე. თავისი საზღვრები გაათართოვეს ასევე აფხაზთა და კახეთ-ჰერეთის მთავრებმაც. თუ გვერძე გადავდებთ მათ პირად ინტერესებს, საქართველოს გაერთიანებისთვის მაინც კარგი საქმე კეთდებოდა. XI საუკუნეში, ჯერ კიდევ არ იყო საქართველო გაერთიანებული, თუმცა სოფლის მეურნეობის დაწინაურება, თუ გააქტიურებული სავაჭრო-ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, დადებითად მოქმედებდა მის ეკონომიკაზე. სწორედ, ახალმა ეკონომიკურმა ვითარებამ განაპირობა საქალაქო ცხოვრების წინსვლა.

„აქ ვხვდებით გარკვეულ სპეციფიკასაც, ზოგ შემთხვევაში ძველი ქალაქების ნანგრევებზე აღმოცენდა ქალაქი, ნაწილი კი ფეოდალიზმის პირმშოდ გვევლინება. ახალქალაქობის პერიოდი“ არსებითად დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსთვის, სადაც ეს პროცესი X–XII ს.ს. მიმდინარეობს. ახალ დაარსებულ ქალაქებს შორისაა: ატენი, გორი, ახალქალაქი, ახალციხე, ოლთისი... აღმოსავლეთის ქალაქებს, ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდათ გარე სამყაროსთან, ვიდრე დას. საქართველოს ქალაქებს. აღმ. საქართველოს ქალაქების აღმავლობა–განვითარებას და ძველი ქალაქების გაძლიერებას, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა საქართველოს გაერთიანებიდან გამომდინარე ფაქტორები, ხოლო მეორეს მხრივ, აღმ. საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები კავკასიისა და წინა აზიის ქალაქებთან. აღსანიშნავია, მაშინ

*როდესაც აღმოსავლეთი ახალქალაქობის პერიოდით გამოირჩევა, სხვა ვითარებაა დას. საქართველოში“.*³⁹

ლ. ჭილაშვილი, ქალაქთა მთავარ განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევს შემდეგს: ახალი ქალაქები იქმნება ძველისგან განსხვავებით ახალ სოციალურ გარემოში. მართალია, ქალაქი კვლავ ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრია, იგი საქალაქო მეურნეობის ბუდეა, განსხვავებით დაკნინებული ანტიკური ქალაქებისგან, რომლებიც ადრეფეოდალურ ხანაში მხოლოდ სოფლის მეურნეობით ცხოვრობდნენ და სადაც საქალაქო მეურნეობა მცირე პროცენტს შეადგენდა. არქეოლოგიური მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, X-XI ს.ს-ში იგრძნობა ნივთიერი ნაწარმის მოზღვაება. საქალაქო ცხოვრება გააქტიურებული და ვაჭართა ქარავნები შორეულ ქვეყნებს სერავენ. ცხოვრების მაღალი დონე, გარეშე მტრისგან მომდინარე საფრთხის შემცირება და მშვიდობიანობა, ახალი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა განაპირობებს ფეოდალური ქალაქების წარმოშობას. სწორედ ამ ფაქტორებს უკავშირდება რიგი ქალაქების ასპარეზზე გამოსვლა (ატენი, ახალქალაქი, თელავი, ღმანისი, ახალციხე და სხვ.). განახლება განიცადეს და საქალაქო მეურნეობის მაღალ დონეს მიაღწიეს ძველმა ქალაქებმა: რუსთავი, სამშვილდე და ხუნანი. XI საუკუნეში მოღვაწე ქრონოგრაფოსის გიორგი კედრენეს სიტყვებით: „*იბერია მდიდარი ქვეყანაა და იქ აუარებელი ძალიან გამავრებული ციხე-კოშკებია*“. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქალაქთა უმრავლესობა სწორედ მტკვრის ხეობაშია მოქცეული და ერთგვარად გასდევს მთავარ სავაჭრო-მაგისტრალურ გზას. ადრეფეოდალური ხანიდან ახალი სოციალურ ეკონომიკური ძალა იმარჯვებს. ირან-ბიზანტიის ომებმა კი გამოიწვიეს, მტკვრის ხეობის გზის მოსპობა. ამან განაპირობა რიგი ძველი ქართული ქალაქების დაკნინება. არაბთა გაუთავებელმა ბრძოლებმა კი ბოლო მოუღო მათ.⁴⁰

არაბების მომძლავრებით, ქართული პროვინციების დახარკვა-დაკავებით და თბილისის საამიროს დაარსებით ყურადღება გადადის სამხრეთისკენ. ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ძალას კი ახალი ქალაქები მოჰყვა. თბილისიდან სახალიფოს ჩრდილოეთის სასაზღვრო პუნქტიდან სამხრეთის მიმართულებით სავაჭრო გზები კვლავ

³⁹ მ. გაბაშვილი. საქართველოს ქალაქები XI-XII სს. თბ. 1981.

⁴⁰ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 83.

ამოქმედდა. შესაბამისად, ფუნქცია შეუნარჩუნდა მტკვრის ქვედა ნაწილში არსებულ ქალაქებს— რუსთავსა და ხუნანს. მტკვრის შუა და ზემო ნაწილის ქალაქებმა მნიშვნელობა დაკარგეს. ამ კონკრეტული მიზეზების გამო, თბილისიდან მტკვრის აყოლებით ანტიკური ქალაქები აღარ განახლებულა.

რაც შეეხება, დასავლეთთან კონტაქტს მხოლოდ დროებით შეწყდა. რაც უფრო, მეტ თავისუფლებას გრძნობდა საქართველო სახალიფოსგან, მით უფრო ღრმავდებოდა კონტაქტები კვლავ ბიზანტიასთან. სწორედ ამ ვითარებას უკავშირდება ახალი მნიშვნელოვანი გზა, რომელიც შავიზღვისპირეთს აკავშირებდა თბილისთან, (გადიოდა ტაო-კლარჯეთზე). მიმართულება მეტ ნაკლები სიზუსტით ემთხვეოდა ახალ ქალაქებს: თბილისი—სამშვილდე—ახალქალაქი—არტაანი—არტანუჯი... როგორც ვთქვით, მტკვრის ხეობაზე გამავალმა ანტიკური დროის გზამ სამხრეთით გადაინაცვლა და შესაბამისად მიყოლებით დაეცნენ შემდეგი ქალაქები: წუნდა, ურბნისი, კასპი, სარკინე, მცხეთა. არსებული გარემოების გამო, ადვილი გასარჩევია ძველი და ახალ ქალაქები.⁴¹

აქვე იხადება ლოგიკური კითხვა, რამ განაპირობა ძველი გზის ახლით ჩანაცვლება? მით უფრო, რომ ძველი გზა მტკვრის ხეობიდან მდ. ყვირილითა და რიონით ხომ კოლხეთზე გაივლიდა კონკრეტული ტერიტორიას კი არაბთა აოხრება ისე არ განუცდია. აქ წარმოიშვა აფხაზთა სამეფოც, რომელიც კანონიერი მემკვიდრე იყო ძველი კოლხეთის. ჩვენი აზრით, მისაღებია ჭილაშვილისეული არგუმენტები ამ საკითხთან დაკავშირებით: *„მთავარი მიზეზი, მაინც არის შავი ზღვისპირეთის კულტურული ცენტრების მოსპობა. ისინი შესაბამისად ველარ კვებავენ რეგიონს და ახლა მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა აქვთ. უმთავრესად კი, სავაჭრო გზა ტაო-კლარჯეთის ძლიერმა პროვინციამ მიიზიდა, რომელიც დაწინაურებულია IX-X ს.ს-ში კულტურული თუ ეკონომიკური თვალსაზრისით. სწორედ „ახალქალაქობის“ დროს წარმოშობილი პუნქტებიც (ატენი, გორი) კვლავ სამხრეთით იღებს ორიენტირს, მათი წინსვლას კი სამხრეთისკენ მიმავალ გზაზე არსებობა განაპირობებდა. რაც შეეხება, საქართველოს მემობლებს, მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ სომხეთი, რომელსაც სოციალურ თუ*

⁴¹ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 84

*ეკონომიკურ ცხოვრებაში იგივე საფეხურის გავლა მოუხდა. ქართული და სომხური ქალაქების განვითარება იდენტურია. მსგავსი ვითარებაა ძველი ალბანიის და აზერბაიჯანის საქალაქო ცხოვრებაშიც“.*⁴²

XI-XII სს. საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდია, რომელიც გამოირჩევა ფეოდალური საქართველოსთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობით. საქართველოს სამეფო სამთავროთა გაერთიანება, ხელშემწყობი აღმოჩნდა ეკონომიკური ვითარებისთვის და გააძლიერა კავშირი ქვეყნის სხვადასხვა რაიონს შორის. ქვეყნის გარკვეული განვითარების კურსი შეაჩერეს გარე ძალებმა, კერძოდ ბიზანტიის იმპერატორ ბასილის და შემდეგ თურქ-სელჩუკთა მრავალჯერადმა შემოსევებმა. XI ს-თვის ქვეყნის მნიშვნელოვანი ქალაქები: თბილისი, რუსთავი, ღმანისი, სამშვილდე და სხვ. თურქ-სელჩუკთა ხელში აღმოჩნდა. ახლად წარმოქმნილი მონარქიის წინაშე, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად უმთავრესად გადასაწყვეტი იყო: ებრძოლა ქვეყნის გაერთიანების დამთავრებისთვის და ასევე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში გარკვეული დახმარება გასწიეს სწორედ ფეოდალურმა ქალაქებმა და ეკლესიამ. სამეფო ხელისუფლება, აფასებდა ქალაქთა როლს თუ მნიშვნელობას და არამართო მტერთაგან გათავისუფლებას, არამედ ახალ ქალაქთა დაარსებას, საქალაქო ცხოვრების განვითარებასაც ცდილობდა. ასე შეიქმნა კავშირი სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის, თუმცა ეს ურთიერთობა მუდამ მშვიდობიანი ხასიათის არ ყოფილა. სახელმწიფო ხელისუფლება ზრუნავდა გზების, ხიდების და რიგი ინფრასტრუქტურის გამართვას, ქარვასლების მშენებლობას და სხვა. ამ მხრივ, გამორჩეულია დავით აღმაშენებლის და მისი მემკვიდრეების პერიოდი. ამრიგად, ცენტრალური ხელისუფლების მფარველობა ხელს უწყობდა ფეოდალური ქალაქების ზრდას. ასევე აქტუალური პრობლემა იყო ქართული ქალაქების ბრძოლა დამპყრობთაგან განთავისუფლებისთვის, რის შედეგადაც ასევე თავისუფლდებოდნენ არამართო პოლიტიკური ბატონობის არამედ ბეგარა-ხარკისგანაც. შესაბამისად ასეთ პირობებში სამეფო ხელისუფლების და ქალაქთა

⁴² ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 85.

გაერთიანება ორივეს ინტერესს აკმაყოფილებდა. ასევე იყო შემთხვევები, როცა გაძლიერებული ქალაქები, მშვიდობიანობის დროს თავს დამოუკიდებლად ცნობდნენ და უპირისპირდებოდნენ მეფეს და მის ხელისუფლებას. ამის მაგალითია, სწორედ თბილისი, რომლის ძალით ალება და გაერთიანებული საქართველოს ფარგლებში შეყვანა მოუხდა დავით აღმაშენებელს. აღსანიშნავია, რომ ამ დროს თბილისი დამოუკიდებელი და თვითმმართველი ქალაქის სტატუსს ფლობს. საპირისპიროდ რთულ ვითარებაში კი ქალაქი თვითონვე სთხოვდა მეფეს დახმარებასა და მფარველობას. სამეფო ხელისუფლებისა და ქალაქთა მართველები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვაგვარად მოქმედებდნენ, რიგ ისტორიულ ვითარებაში.

სწორედ მოკავშირეთა მომრავლების მიზანს და ეკონომიკურ დაწინაურებას უკავშირდება, სამეფო ხელისუფლების მხრიდან რიგი ქალაქების დაარსება. ამ მრივ საინტერესოა ქ. ატენი რომელიც ბაგრატ IV-ის ბრძანებით შენდება. XI-XII ს.ს. მიჯნაზე დაწინაურებულ ეკონომიკურ ცენტრად იქცა ქ. გორი. ამ დრომდე პირველობა გორის ახლოს მდებარე ქ. უფლისციხეს ჰქონდა. თბილისის განთავისუფლების და დედაქალაქად გადაქცევის შემდეგ კი უფლისციხის მნიშვნელობა თანდათან მცირდება. ამის შედეგად, ასპარეზზე გამოდის ჩრდილოეთით, სამხრეთი და დასავლეთით მიმავალი გზების გზაჯვარედინზე მდებარე გორი. შემთხვევითი არაა, რომ ქართული თუ უცხოური წყაროები დავით აღმაშენებელს უკავშირებენ გორის აყვავებას და ამ პერიოდში წარმოქმნილ ქალაქად თვლიან. მართლაც, ყოფილი ციხესიმაგრე გორი XII ს. დასაწყისში ხელახლა შენდება და იქცევა ქალაქად. მათე ურჭაელის სიტყვით: გორი დავით აღმაშენებელმა ააშენა და შიგ სომეხი ვაჭრები ჩაასახლა.⁴³ სომეხები დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ეპყრობოდნენ დავით IV-ს. დავით მეფე ქალაქის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, გორის ახალი მოსახლეობისთვის შესაბამის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

XII ს-ის პირველ მეოთხედში მთავრდება საქართველოს გაერთიანება, განთავისუფლება თურქ-სელჩუკთაგან და გვევლინება ძლიერი ფეოდალური

⁴³ ლ. დავლიანიძე. მათე ურჭაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. თბ. 1968, გვ. 247-248.

სახელმწიფო. დავით IV-ის და მისი მემკვიდრების დროს ქვეყნის გავლენის ქვეშ არიან ჩრდილოეთ კავკასია, აღმ. ამიერკავკასია სამხრეთ აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი და შავი ზღვის სამხრ. სანაპირო. XII-XIII ს.ს. არსებულმა რეფორმებმა განაპირობა ქვეყნის წინსვლა და სიძლიერე, რასაც ბუნებრივია ხელი შეუწყო მშვიდობიანმა მდგომარეობამაც. ამ ფაქტორებმა განაპირობა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა, დიპლომატიური ურთიერთობების გაფართოება და ვაჭრობის გაძლიერება. წერილობითი მონაცემებით XI-XII საუკუნეებში ატენის გარდა შემდეგი ქალაქები სახელდება: უინვანი, ბარალეთი, სურამი, ალი, ზოვრეთი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ქალაქმა პირიქით დაკარგა ეს სტატუსი, მაგალითად, წუნდა, რომელიც XI ს-ში წყაროებში აღარ იხსენიება. X-XI ს.ს. კარგავს თავის სტატუსს და ფუნქციას ქალაქი უჭარმაც, თუმცა როგორც ციხესიმაგრემ თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა. ამ დროის ძლიერი ქალაქებია: თბილისი, რუსთავი, გორი, უინვანი, დმანისი, ახალქალაქი, ახალციხე, თმოგვი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, თელავი, ქუთაისი და სხვ. რაც შეეხება, ქალაქური ტიპის დასახლებებს, ესენია: მცხეთა, უჭარმა, ჭერემი, მანგლისი, აწყური, ლორე, ერუშეთი, ნაჭარმაგევი, გეგუთი, ბოლნისი, გაგი, უალეთი, ბოჭორმა და სხვ. რომლებიც წყაროებში ქალაქად არ მოიხსენიებიან. თუმცა, ეს პუნქტები აქტიურად ერეოდნენ რიგ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებში.⁴⁴

ატენის შესახებ, ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ცნობები ლაპიდარულმა წარწერებმა შემოგვინახა. „ახალქალაქობის“ პერიოდში დაარსებულ ქალაქებს შორის იშვიათი გამონაკლისია ატენი, რომლის შესახებ ატენის სიონის სამხრეთის ფასადზე შესრულებული წარწერა გვამცნობს. კონკრეტული წარწერით ვიგებთ, რომ მეფის (ბაგრატ IV) ბრძანებით აშენებულ იქნა სახლები და ქულებაქები. ქალაქისთვის ქულებაქები დამახასიათებელი ატრიბუტია, სავაჭრო უბნის გარეშე კი თავის ფუნქციას ვერ შეასრულებდა. წარწერა, შესანიშნავად ასახავს ახალქალაქობის ეპოქას. შესაძლებელია ქალაქის აშენებაც კი თუ შესაბამისი პირობები არსებობს. რაც შეეხება, წარწერის შინაარს ასეთია: *„ქ, სახელითა ღვთისაითა, მე გორგანელმან, მირიანის ყმამან თარხონის ძისამან, ატენის ციხისთავმან, ავაგენ სახლნი და ქულებავი მას უამსა, ოდეს აღიდენ ღმერთმან,*

⁴⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. 1979, გვ. 98-101.

*ძლიერმან მეფეთ მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფეს ზუარსა შიდა ქალაქისა შენება: გაუმარჯოვა ღმერთმან და ბედმან მეფობისა მათისამან, ვითა სწადდა, მეფობასა მათსა ევრეთ ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვიწყალა მეფობამან მათმან, სასახლენი, ადგილნი და საქულბაგენი მკვიდრად, ნებიერობით გვიბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენება შეეძლო. მე ავავე სახლი და ქულბაგი და შევნირე წმიდასა სიონსა ატენისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, სალოცველად ჰვამცა უკუნისამდე ძრიელი მეფეთა მეფე ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი და სალოცველად სულისა მირიან მიწასა მათისა გამზრდელისა პატრონისა ჩემისათვის დავდეგ დღე თევდორობა აღაპად, გარდაიხდიდეს მამასახლისი წინამძღუარი სიონისა ვინცა იყოს“.*⁴⁵

ერთადერთი ქართული წყარო (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლეონტი მროველის ცნობებს ანტიკური პერიოდის ქართლში ქალაქების დაარსების თაობაზე), რომელიც მოგვითხრობს ქალაქის წარმოქმნასა და ახლად დაარსებული ქალაქის თავისებურებაზე, არის ატენის სიონის წარწერა. ტაძრის სამხრეთის კედელზე მოთავსებული ასომთავრულით შესრულებული წარწერა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეკუთვნის 1060-1068 წლებს (ბაგრატის მეფობის მეორე პერიოდს). მანვე შეათვსა წარწერის შინაარსი და მისი რეალიები.⁴⁶ წარწერა, განიხილეს და (დ.ბაქრაძე, თ. უორდანი, ე. თაყაიშვილი, შ.მესხია, ლ.ჭილაშვილი), ყველამ ერთხმად დაუკავშირა ის ბაგრატ IV-ეს. სიონის ტაძრის წარწერები განიხილა და გამოაქვეყნა თ. ბარნაველმა.⁴⁷ ამავე წლებით ათარიღებენ ატენის გაქალაქებას სხვა მკვლევარებიც. ატენის სიონის წარწერიდან კარგად ჩანს, რომ ქალაქის ნაგებობის შენებასთან ერთად იწყება მეფის დარბაზის შენებაც, რაც რათქმაუნდა საგანგებო ადგილას უნდა ყოფილიყო. ატენის მთავარი საფორტიფიკაციო ნაგებობაც „ატენის ციხე“ ცნობილია. ციხეში თუ მის დარბაზში იყო მეფის (ქალაქის მფლობელის) საჭურჭლეც.⁴⁸

⁴⁵ თ. ბარნაველი. ატენის სიონის წარწერები. თბ. 1957, გვ. 39.

⁴⁶ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისთვის. ტ. I. 1946, გვ. 33-35.

⁴⁷ თ. ბარნაველი. ატენის სიონის წარწერები. თბ. 1957, გვ. 39.

⁴⁸ თ. ბარნაველი. ატენის სიონის წარწერები. თბ. 1957, გვ. 33.

წარწერაში მოხსენიებული ბაგრატ IV (1027-1072), მეცნიერთა უმრავლესობის მიერ (დ. ბაქრაძე, ე.თაყაიშვილი, თ. უორდანი, ივ. ჯავახიშვილი) მართებულად არის მიჩნეული. ასევე მოხსენიებულია გიორგი II და მათი შესაბამისი ტიტულატურაც.

წარწერაში მნიშვნელოვან დეტალებს უნდა დავაკვირდეთ ქალაქთან დაკავშირებით: კერძოდ რა იგულისხმება ქალაქის აშენებაში, (დაუსახლებელი ტერიტორიის ათვისება?) და რამ განაპირობა კონკრეტულად აქ ქალაქის აშენება. სხვადასხვა მონაცემები ადასტურებს, რომ ატენის გაქალაქებს სხვა პროცესები უძლოდა წინ. XI ს-მდეც არაერთხელ არის მოხსენიებული წყაროებში ატენი. ბაგრატ IV-ის ბრძანებით, ქალაქის მშენებლობა უნარმოებიათ ატენის ციხისთავ გორგანელს და მირიან ერისთავს. წარწერის მიხედვით: მშენებლობას წარმართავს ციხისთავი გორგანელი. მირიანი კი ატენში მოღვაწე ერისთავთერისთავი უნდა იყოს. შესაბამისად გრიგოლი მისი ყმა და მოხელეა (ციხისთავი). ატენი მეფის საკუთრებას წარმოადგენს, შესაბამისად მეფემ უბრძანა მირიანს სასეფო ზვარში ქალაქის აგება, რისთვისაც „მირიან და ყმათა მისთა ვისაც კი შენება ძეძლო უბოძა მკვიდრად ნებიერობით ადგილნი სასახლისანი და საქულებანი“. ციხისთავი აშენებს სახლს და ქულებაც, რომელსაც სწირავს ტაძარს. მნიშვნელოვანი წარწერაა, საიდანაც ჩანს, როგორც ქალაქის დაარსება ისე იურიდიული დამოკიდებულება მეფესა და ქვემდგომ რამდენიმე პირს შორის.

ირკვევა, რომ ატენის ციხე, საკმაოდ დიდი და გამაგრებული ყოფილა, თავისი ციხისთავიც ჰყოლია გორგანელი, რომელსაც მეფე ბაგრატის და მირიან ერისთავის ზედამხედველობით აუშენებია ქალაქი. სავაჭროების აგება მოწმობს, რომ ატენს X-XI სს. აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია მეზობელ ქვეყნებთან. გორგანელ ციხისთავს და მირიან ერისთავს, რომ მხოლოდ ეს მშენებლობა არ უნარომებიათ, მეტყველებს ვერეს მონასტრის წარწერა, სადაც დღესაც ვერეს მაგარი ციხე და ღვთისმშობლის სახელობის ტაძარია.

ქართული ფეოდალიზმის მახასიათებლების გამოსაკვეთად, აკაკი ჩიქობავა თავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ატენის წარწერაზე და კონკრეტულად გამოჰყოფს: ვასალიტეტის საკითხს და მიწის გადაცემას მემკვიდრეობით. წყაროს მიხედვით, ქართულ რეალობაში გვაქვს ვასალიტეტის სამსაფეხურიანი ფორმა. სახეზეა მეფე,

როგორც უმაღლესი სენიორი და მასზე დამოკიდებული მოხელე-ერისთავი და შემდგომ ციხისთავი. ა. ჩიქობავას აზრით, ნაკლებად აქტუალურია ჰქონდა თუ არა მირიანს ფეოდი, თუ მხოლოდ მოხელე იყო. რადგან სენიორალური სისტემა წარმოუდგენია არა მხოლოდ მინაზე დამყარებულ სოციალურ ფორმად არამედ, როგორც სამოხელეო დამოკიდებულების იერარქიული ფორმაც.

რაც შეეხება, მირიანს და გრიგოლის ურთიერთდამოკიდებულებას. წარწერიდან ნათელია, რომ გრიგოლი მირიანის ყმაა და ატენის ციხისთავი. მიუხედავად იმისა, რომ მეფემ მათ მკვიდრად და ნებეირობით გადასცა მიწები, გრიგოლი თავის სენიორად მაინც მირიანს ასახელებს. ფეოდალური სისტემის სათავეში ყოველთვის მეფეა. თუმცა ნაშრომში საინტერესო აქცენტი კეთდება ამ ფაქტზე, როდესაც მეფემ გრიგოლს უბოძა ადგილები მკვიდრობით უნდა გამხდარიყო თუ არა იგი მისი უშუალო სენიორი? მით უფრო თუ გავითვალისწინებთ დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმის აუცილებელ ნიშანს- ვასალის და სენიორის მჭიდრო ურთიერთობას, საიდანაც გამომდინარეობს ფრანგული ფეოდალიზმის ფორმულირება: „ჩემი ვასალის ვასალი, არ არის ჩემი ვასალი“. ვარაუდის დონეზე დასაშვებია ყოველივეს ასე გაგება.⁴⁹

„ატენი“ ნახსენებია ასევე მოსახსენიებელში ატენის სიონის ზღუდის შემქმნელი ხელოსნისა (ატენის სარქლის), რომელიც ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის ჩრდილოეთის ფრთაზეა ამოღარული. წარწერა ერთ სტრიქონიანია და შესრულებულია ნუსხურნარევი ასომთავრულით და ახლავს თარიღიც: ქორონიკონი 945წ. „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ატ(ენი)ს(ს) ს(არქა)ლი ესე ზლ(უ)დ(ე)ი შ(ე)ქმნა ქრ(ონი)კ(ონ)სა რიე“.⁵⁰

შედარებით ადრეა მოხსენიებული ჯვრის კვარცხლბეკის VIII საუკუნით დათარიღებულ წარწერაში, რომელსაც მიაკვლია ივ. ჯავახიშვილმა 1907 წ. სოფელ ატენისა და მდინარე ტანას პირას, მთის ფერდობზე ნათლისმცემლის პატარა, უგუმბათო ეკლესიაში. სამეცნიერო ლიტერატურაში, კი ის ვეჟან ატენელ მამასახლისის მოსახსენიებელი წარწერის სახელითაა ცნობილი. „ესე ჯ(უარ)ი ქ(რისტ)ე(ს)ი მე, ვეჟან ატ(ენ)ელ მ(ამასა)ხლ(ისმა)ნ აღვმართე შესავედრებლად და სახსრად სულისა ჩემისა

⁴⁹ ა. ჩიქობავა. ფეოდალიზმი და ქართული ეთნოკულტურა VIII-X საუკუნეებში. თბ. 2015, გვ. 46-48.

⁵⁰ ლაპიდარული წარწერები. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. I. 1980, გვ. 207.

და ყ(ოვე)ლთათვის თაყვანისმცემელთა ქ(რის)ტ(ე)ის(ა)თა. ქ(რის)ტე ყ(ოვე)ლნი შეგვიწყალენ ძ(ალ)ითა ჯ(უარ)ისა შ(ენ)(ისა)ითა ამინ. იყავნ. და რომელთა აღმოიკითხოთ მე ვეჟან ც(ო)დ(ვი)ლი მ(ომი)ხსენ(ეთ)“. ⁵¹

მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა, წარწერაში მოხსენიებული სახელის-ვეჟანის ძველ ფორმაზე და პალეოგრაფიულ ნიშნებზე. ეს კვარცხლბეკი 1920-იან წლებში ივ. ჯავახიშვილის დავალებით თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნების მეცნიერების კაბინეტში ჩამოიტანა გ. ჩაჩანიძემ, დღეისთვის ის საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.⁵² წარწერის მიხედვით: ვეჟანი ატენის მამასახლისია. მამასახლისი, მონასტრის წინამძღვარსაც ნიშნავს და საქვეყნოდ გამრიგე მოხელესაც. ვეჟანი კი სამონაზვნო სახელისთვის სრულიად შეუფერებელია და სავარაუდოდ იგი ატენის საქვეყნოდ გამრიგე, მოხელე უნდა ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა რიგში- *„პირველი ადგილი ერისთავთ-ერისთავებსა და ერისთავებს ეჭირათ. ერის მთავარი თავდაპირველად ჯარის უფროსს ნიშნავდა დროთა განმავლობაში კი „ერისმთავარი სამოქალაქო მოხელეობის სახელად იქცა.*

ერისთავთ-ერისთავთა და ერისთავს ქვეშეთ მოხელეებად ჰყავდათ ციხისთავნი, ხევისუფალნი, მამასახლისნი და გზირნი. გლეხთა სამოსამართლო საქმეების გარჩევა და ურვება საერისთავთ-საერისთავოს მამასახლისებს ჰქონდათ ჩაბარებული“. ყურადღება გამახვილებულია ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულო დავის გამო ბავრატ IV-ის მიერ სიგელში დასახელებულ სოციალურ ტერმინზე „სამამასახლისო სამსახურებელი“. ამ კონკრეტულ დავაში გაიმარჯვეს მიჯნაძორელებმა და მეფეს ოპიზართათვის, გულის მოსაგებად სოფელი უჩუქებია: *„და ამისდა ნაცვლად, რათამცა ოპიზარნიცა გულსავე ვეყვენ სალოცველად სულისა ჩემისა, თავსავე ჩემსა დავათმინე, ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებელია ჩუენისაგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაპეზოდ“.* ივ. ჯავახიშვილის აზრით, „სამამასახლისო სამსახურებელი“ მეფე-მამასახლისის საკუთრებას

⁵¹ ლაპიდარული წარწერები. I. 1980, გვ. 107.

⁵² გ. აბრამიშვილი. ატენის სიონი. თბ. 2012, გვ. 105.

უნდა ნიშნავდეს. მკვლევარი ტაოსა და კლარჯეთის ტანუტერებს მამასახლისებად მიიჩნევს.⁵³

ს. ჯანაშია ვარაუდობს, რომ ბაგრატი თავად მოიკლო და თავისი „სამამასახლისო სამსახურებლიდან“ სოფელი შესწირა. „ეს მინიმფლობელობა სულ სხვა, ახალ ნიადაგზე იყო წარმოშობილი. თავისთავად ტერმინი ძველია და მიუთითებს, რომ გვაროვნულ საზოგადოებაში არსებობდა გარკვეული მინის ფონდი, რომელიც მამასახლისის სამსახურის ასანაზღაურებლად იყო თემის მიერ გამოყოფილი“. ა. შანიძე მიიჩნევს, რომ „სამამასახლისო სამსახურებელი“ ადგილობრივი მთავრობისთვის დანესებული გადასახადი იყო, რომელსაც სოფელი ან მონასტერი იხდიდა. ფეოდალი ამ მხარის მამასახლისად ითვლებოდა და სამამასახლისო სამსახურებელი იგივე „სატანუტერო სამსახურებელია“.

ა. ბოგვერაძის შეხედულებით, ბაგრატი IV-მ ოპიზართა შეწირა არა უშუალოდ სოფელი, როგორც მისი სამამასახლისო ქონება, არამედ როგორც მისი ბეგარა. მკვლევარის მოსაზრებით, სამეფო მიწების ერთი ნაწილი უშუალოდ მეფის საკუთრებაში ითვლებოდა და „სამამასახლისო“ ეწოდებოდა.

ი. ანთელავას აზრით, „მეფის მოხელე-მამასახლისის“, სამსახურებელი სოფელი წარმოადგენდა არა მამასახლისის არამედ მეფის კერძო ფეოდალურ საკუთრებას, დომენის სოფელს. ის მხოლოდ დროებით „სახელოდ“ ჰქონდა მამასახლისს. „დათმენის „მიზგივც ისაა, რომ სოფელ ბარეჯანის შემოსავალს ამიერიდან მონასტერი მიიღებდა „სატრაპეზოდ“, ხოლო მამასახლისისთვის მეფეს, უეჭველია სხვა სოფელი უნდა მიეცა სამსახურებლად.“⁵⁴

როგორც ვხედავთ, მკვლევარებს განსხვავებული ინტერპრეტაციები აქვთ და ერთი ნაწილი მამასახლისს მეფე-ტანუტერთან აიგივებს, ხოლო მეორე მეფის კერძო ფეოდალური საკუთრების-დომენის გამგებელ მოხელესთან, რომელიც „სამამასახლისო სამსახურებლად“ მეფისგან სოფელს იღებს.

⁵³ გ. აბრამიშვილი. ატენის სიონი. თბ. 2012, გვ. 106.

⁵⁴ გ. აბრამიშვილი. ატენის სიონი. თბ. 2012, გვ. 107.

სხვებისგან განსხვავებით, მხოლოდ ა.ბაქრაძეს აქვს გამოთქმული მოსაზრება ვეჟან ატენელის სამოხელეო უფლების შესახებ. იგი თვლის, რომ ვეჟანი ატენის სრული ბატონ-პატრონია და ამ დროისთვის ატენის ხეობას მამასახლისი განაგებდა. ასეთი დასკვნა კი გამოაქვს, რადგან წარწერაში არაა დასახელებული ამ მხარის უშუალო პატრონი, რაც ატენის მამასახლისის მიერ აუცილებელი იქნებოდა წარწერაში ასახულიყო.

ასევე გასათვალისწინებელია ჯვრის აღმართვის ფუნქციის გამოხატვის ფორმა. ჯვარის აღმართველთა წარწერებში, როგორც წესი აღმართველთან ერთად მოხსენიებულნი არიან ხოლმე მისი ოჯახის წევრები ან სისხლით ნათესავები. ატენის მამასახლისს ჯვარი აღუმართავს „ყოველთათვის თაყვანისმცემელთა“, რაც იმ ქვეყნის ერს გულისხმობს, რომლის მამასახლისადაც ყოფილა ვეჟანი დადგენილი. ასევე გასათვალისწინებელი გარემოებაა, წარწერაში რატომ არ იხსენიებს და ავედრებს თავის ოჯახის წევრებს, რაც მიღებული იყო ასეთი ტიპის წარწერებში. ჩემი აზრით, უფრო ლოგიკურია გ. აბრამიშვილის მოსაზრება, რომ ვეჟან ატენელი, ის ფეოდალი კი არ არის, რომელც ატენის ქვეყანს ფლობს და მისი სრულუფლებიანი მფლობელია, არამედ მხოლოდ მისი გამგებელი მოხელეა, რომელსაც ატენი მისცევს „სამამასახლისო სამსახურბელად“. მხოლოდ ასეთი ახსნაა შესაძლებელი, რადგან ქვეყნის მფლობელები და სიონის მაშენებლები არიან ვარაზ, ნერსე და სტეფანოზ მამფლები. ატენის სიონის ინტერიერში, დღემდე დაცულია სტელის თუ ჯვრის კვარცხლბეკი, რომელიც თავისი ფორმით ჰგავს მცხეთის ჯვრის ასეთივე კვარცხლბეკს. როგორც ვიცით, მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკზე ამოკვეთილია ტაძრის ეტიტორთა სახელები, ასევე უნდა ყოფილიყო ატენშიც, თუმცა წარწერა დაზიანებულია.⁵⁵

გ. აბრამიშვილი, დეტალურად მიმოიხილავეს ატენის სიონში არსებულ წარწერებს და გვთავაზობს საკუთარ შეხედულებებს. ატენის სიონის ინტერიერში უძველესი VII-VIII საუკუნეების წარწერები შემორჩა. რაც შეეხება ფასადებს, თოდოსაკის დროის სარესტავრაციო სამუშაოებს მთლიანად წარუხოცია ტაძრის მშენებლობის სინქრონული, ეტიტორთა რელიეფური ქანდაკებები, რომელთა არსებობა თუნდაც მისი მაგალითის

⁵⁵ გ. აბრამიშვილი. ატენის სიონი. თბ. 2012, გვ. 108.

მცხეთის ჯვრის გათვალისწინებით უდაოდ სავარაუდოა. ატენის ქვეყანა, ბაგრატიონთა იმ ერთი შტოს წარმომადგენელთა სამეფო დომენი, ხოლო სიონი სამეფო საძვალე იყო. XI საუკუნის მოხატულობა თითქმის მთლიანად თარავს ტაძრის ინტერიერს და შესაძლოა, ამ მოხატულობის ქვეშ ვარაზისა და ნერსეს ეპიტაფიებიც მოექცნენ. აბრამიშვილი ვარაუდებს, მათ ამ ტაძარში დაკრძალვასაც, რის სასარგებლოდაც მეტყველებს ნერსეს სულის მოსახსენებელი წარწერა. ვარაზ მამფალის, ნერსე ერისთავის და მისი მემკვიდრის სტეფანომ მამფალის მიერ, ეკლესიის მშენებლობისთვის ფულადი სარგოს დაწესება გვარწმუნებს, რომ ვარაზი და ნერსე ატენის სიონის ქტიტორები, ხოლო სტეფანომი ქტიტორთა მწკრივში უმცროსი თაობის წარმომადგენელია. VII ს-ის II ნახევრის მოღვაწეა ვარაზი, ხოლო მისი ძე ნერსე VII-VIII სს მიჯნაზე მთავრობს. სტეფანომ მამფალი კი საერისმთავრო საყდარზე 711 წ. აღის. თვალი, რომ გადავავლოთ ამ პერიოდში ქართლის პოლიტიკურ ვითარებას ასეთი სიტუაციაა. 686 წ. არაბებისთვის ხარკის მიცემაზე უარი თქვეს ქართველებმა, სომხებმა და ალბანელებმა. კავკასიის ამ განდგომის ხელმძღვანელი იყო ქართლის ერისმთავარი ნერსე, რაც 689 წ. კავკასიელ ხალხთა მარცხით დამთავრდა. ცხადია, ამ პერიოდისთვის ატენის სიონის მშენებლობა დასრულებულია, რადგან ტაძრის მშენებლობა ნერსეს მამა ვარაზმა დაწყო. ტაძრის მშენებლობისთვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი ჰაბიბნ იბნ მასლამას „ზავის სიგელის“ დროა 654-55 წლები. არაბები ქართლს მალე გაეცლანენ, რადგან სახალიფოში სისხლისმღვრელი ომი ატყდა, რომელიც დაახლოებით ხუთი წელს გაგრძელდა ვიდრე მოავია I არ ავიდა ტახტზე (661-668). გ. აბრამიშვილს სწორედ 654-689 წლები მიაჩნია ხელსაყრელად ტაძრის მშენებლობისთვის.

ატენის გაქალაქებას, წინ უძღვოდა ხანგრძლივი პროცესი. ეს ლ. ჭილაშვილს საფუძველს აძლევს რომ აღნიშნოს: „ადგილი სადაც, ბაგრატ IV-ის ბრძანებით შენდება ქალაქი ადრეც ძლიერი პუნქტი იყო. მისი სიძლიერე განპირობებული იყო ნაყოფიერი სამეურნეო რაიონით, სადაც ძირითადი დარგი მევენახეობა ჩანს და ქართლიდან

თრიალეთის მიმავალი გზით, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა X-XII სს. სამეფო კარსა და კლდეკარის ერისთავთა შორის ურთიერთობის დროს“.⁵⁶

ატენს თავისი საფორტიფიკაციო ნაგებობაც ჰქონდა (ციხე ატენისა), რომლიც XI ს. შინაური აშლილობის ასპარეზად იქცა. ატენის სიონი VII საუკუნეშია აგებული. აქ ჩანს დასახლებული პუნქტიც არსებობდა, თუმცა ქალაქის სტატუსი არ ჰქონდა. ჯავახიშვილის აზრით, ქალაქად მას შემდეგ იქცა რაც „ქულბაქები“ ააგეს XI ს-ში.⁵⁷ ყოველი ახალი ქალაქი, თუ დასახლებული პუნქტის ქალაქად გადაქცევა განპირობებული იყო მზარდი ქართული ფეოდალური საზოგადოების წინსვლით, სოციალურ, პოლიტიკურ-ეკონომიკური მოთხოვნილებებით.

ქალაქები, როგორც სავაჭრო ცენტრები, მოგების წყაროს წარმოადგენენ ფეოდალური ხანის საქართველოში. ვაჭარ-ხელოსანთა ხელში დიდი სიმდიდრე იყო თავმოყრილი. შესაბამისად შემოსავლები და გარკვეული ინტერესები ამოძრავებდა ამათუ იმ ფეოდალს, როდესაც ესწრაფოდა კონკრეტული ქალაქის ფლობას. ატენი, რომ საკმაოდ შემოსავლიანი ქალაქი იყო, ჩანს დავით აღმაშენებლის ანდერძიდან: როდესაც მეფე ჩამოთვლის განძეულობას და თუ ვის რა ერგო ანდერძით: „ლალიდა თვალმარგალიტნი ხახულის ღვთისმშობლისთვის შემინირავსო, ხოლო ღუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემისა სისხლითა მოგებული თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი ყოველი მისცეს მოძღვარსაჩემსა, თუ არა ნახევრისთვის წინაშე ღუთისა ვესაჯები, რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიმწარებიან მოძღვარმან ჩემან უკუნცემითა მათითა აღიცინეს ჩემთვის“.⁵⁸ უდაოდ ანგარიშგასაწევი გარემოებაა, რომ ატენში სამეფო საჭურჭლე იმყოფებოდა, რომლის ნაწილს ალბათ ქალაქის შემოსავალიც შეადგენდა, იმ სისხლით მოგებულს (ნადავლით აღებულს) ბიზანტიურ ოქროსთან ერთად, რომელზედაც ანდერძშია ლაპარაკი.⁵⁹

⁵⁶ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 103.

⁵⁷ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისთვის. ტ. I. 1946, გვ. 35.

⁵⁸ ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. II. 1965, გვ. 20.

⁵⁹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ნ. შოშიაშვილი, ვ. სილოგავას რედაქციით. ტ. I. 1984, გვ. 61-62.

ვთვლი, რომ მართებულია ჭილაშვილის მოსაზრება, რომ ატენის დაწინაურება მოულოდნელი და შემთხვევითი არ უნდა იყოს ისეთ პირობებში, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ჯავახეთიდან და თრიალეთიდან ქართლისკენ მიმავალ გზას, რომელიც ტანას ხეობიდან გომარეთით თრიალეთზე გადმოსასვლელს წარმოადგენდა. ეს გზა ფეოდალურ ხანაში საკმაოდ ინტენსიური დატვირთვით მუშაობდა. მან განაპირობა ატენის დაწინაურება „რადგან ეს გზა დაწინაურებული პოლიტიკური ერთეულისკენ მიდიოდა რომელზეც სავაჭრო მაგისტრალი გადიოდა“. ⁶⁰ ამავე გზას უკავშირდება ქ. გორის მნიშვნელობის ზრდას და საქალაქო ცხოვრების განვითარება.

საჭიროა, გადავხედოთ საქართველოს ისტორიულ ვითარებას IX-X საუკუნეებში, სადაც იკვეთება ატენის ხეობის როლი და მნიშვნელობა. ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ატენი მნიშვნელოვანი ქრისტიანული ცენტრია. შუა საუკუნეებში დღევანდელი სოფლის ადგილას არსებობდა ქალაქი. ძალიან საინტერესოა, ატენის ფლობა-განკარგვის საკითხი, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ატენის ხეობით, ქართლის ერისთავები და დიდებული აზნაურები იოანე მარუშისძის ინიციატივით, დახმარებას სთხოვდნენ დავით კურაპალატს, რომ გამოეღაშქრა უფლისციხეზე, აეღო იგი და ქართლის მეფედ დაესვა მისი შვილობილი ბაგრატ გურგენის ძე. არსებული გეგმის ფარგლებში 975 წ. დავითი გადმოვიდა უფლისციხეში და ქართლის მეფედ დასვა ბაგრატ III. ⁶¹ ატენს ერთხანს ბაღვაშები ფლობდნენ ბაგრატ III მეფობის დროს. ბაღვაშთა საგვარეულო, როგორც სამეფო კარის მოწინააღმდეგე დასი, ისტორიის მანძილზე გამოირჩეოდა. ამჯერადაც, „მათ ეპყრათ ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით კერძ ყოველივე თრიალეთი და მანგლისხევი და სკვირეთი“. ⁶² ბაგრატის გამეფება და საქართველოში ერთმეფობის დამყარება, მაინცდამაინც არ მოსწონდა მანგლის-თრიალეთის ძლიერ ერისთავ რატის, რომლის მფარველობაში შედიოდა პოლიტიკურ-ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მაგისტრალი,

⁶⁰ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 101.

⁶¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II, თბ. 2012, გვ. 415.

⁶² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. 1955, გვ. 276.

როგორც იყო ატენისა და თრიალეთი მხარე. სწორედ ამ გზით იღებდა ბაგრატი საჭიროების შემთხვევაში აღმზრდელისგან დახმარებას თავისი მეფური უფლებების განსამტკიცებლად. არსებულ ვითარებაში, საჭირო იყო ატენის ერისთავ რატის დამორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი ატენიდან გაძევება და საერისთავოს ჩამორთმევა. „და ამას შინა გარდახდეს წელიწადნი რაოდენნიმე. იყო მას უამსა ერისთავად კლდე-კართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით-კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ხევი და სკვირეთი. არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა. შეკრიბა უცნაურად სპა თვისი ყოველი ბაგრატ მეფემან და გამოვიდა ქართლს: ენება შეპყრობა რატის ერისთავისა. მაშინ უკვე აუნყეს მსწრაფლ დავით კურაპალატსა და უთხრეს: არა სადა წარვალს სხუაგან, არამედ განმზადებულ არს სიკუდილად შენდა“.⁶³

რატის სულ სხვა მიზანი ჰქონდა და დამორჩილებასაც არ აპირებდა, ამიტომ გადაწყვიტა დავითსა და ბაგრატს შორის უნდობლობის და შურის ჩამოგდება. ბაგრატმა რატის ეს განზრახვა დროულად შეიტყო და მამობილის ნებართვით გაილაშქრა მასზე 989 წ. დაამარცხა ერისთავი და დაეპატრონა ატენის ციხეს. ამ თაქტთან დაკავშირებით არაერთი ვერსია არსებობს. მათ შორის თითქოს ბაგრატი არა რატის არამედ თვით დავითის წინააღმდეგ მიდიოდა და აპირებდა ქვეყნის ერთპიროვნული მართველი ყოფილიყო. თუმცა, სათანადოდ ვერ შეათვასა დავით კურაპალატის ძალები და უკან დახევა მოუწია, მამობილს კი თავისი ვერსია უამბო, რომ მოდიოდა რატი ბაღვაშის წინააღმდეგ სალაშქროდ. რათქმაუნდა, ყველა ვარაუდი დასაშვებია არსებულ ვითარებაში.

რაც შეეხება ქართლის ცხოვრების კონკრეტულ მომენტს ასე აღწერს ავტორი: *“ურჩმა ყმამ მეფეს ციხე კლდეკარისანი მისცა და თვითონ დაჯდა მამულსა თვისსა არგვეთსო“*. თუმცა, რატის მემკვიდრები ვერ ურიგდებოდნენ ციხის დაკარგვას და შემდგომ პერიოდშიც არაერთხელ უცდიათ დაბრუნება. 989 წ. ბაგრატი იმორჩილებს რატი ბაღვაშს და შესაბამისად სამეფო განკარგულებაში გადადის ეს მხარე. რაც შეეხება

⁶³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. 1955, გვ. 276.

ატენის ფლობის საკითხს ბაგრატ IV-ის მეფობამდე, როგორც ჩანს ფეოდალთა ხელში იყო და კლდეკარის საგამგებლოში შედიოდა. 1060 წ. ბაგრატი ქალაქს აშენებს და ატენი სამეფო ქალაქი და ხელისუფლების დასაყრდენი ხდება რეგიონში. შესაბამისად მაგისტრალურ გზებსაც, სამეფო ხელისუფლება აკონტროლებს და საბაჟო შემოსავალიც მთლიანად სამეფო კარს მისდის, თუკი მანამდე შემოსავლის ნაწილით ფეოდალი სარგებლობდა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ატენის ფლობის საკითხის გარკვევა. ის, რომ ბაღვაშები არსებულ ხეობას განკარგავდნენ დასტურდება ატენის ღვთისმშობლის მცირე გუმბათოვანი ეკლესიიდან, რომელიც სოფლის ცენტრში მდებარეობს და თარიღდება VII-IX საუკუნეებით. ტაძრის დას-ის ფასადის კარის ტიმპანზე ამოკვეთილია რელიეფური კომპოზიცია და ასომთავრული წარწერა: “ქრისტე აღიდე ორსავე ცხოვრებასა შინა აქა ხორციელებრ და წინაშე შენსა სულიელებრ რატი ერისთავი, ძე იგი ლიპარიტ ერისთავისაი, რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი წმიდაი ეკლესიაი სალოცველად სულისა მათისა“. საფიქრებელია, რომ რატი ერისთავმა X საუკუნეში განაახლა ეკლესია და თავი აღმშენებლად გამოაცხადა. დასავლეთის მინაშენი კი სამხრეთის კარის არქიტრაფზე მოთავსებული მხედრული წარწერის თანახმად, 1870 წ. აუგია მღვდელს დავით დავიდოვს.⁶⁴

აქვე საჭიროდ ვთვლით, რომ მოკლედ მიმოვიხილოთ კონკრეტულ პერიოდში კლდეკარის საერისთავოს მდგომარეობა და ბაღვაშთა საგვარეულო. კონკრეტულ საკითხს ეხება მ. ბახტაძე ნაშრომში-„ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში“. „კლდეკარის საერისთავოც, ქართლის საერისთავოს მსგავსად არსებობდა ბაგრატ III-ის გამეფებამდე. ბაღვაშები თრიალეთში დამკვიდრდნენ IX ს-ის 80-იან წლებში. ბაგრატის თანამედროვე ერისთავი იყო რატი I ბაღვაში. რომელიც „არ მორჩილებდა კეთილად მეფესა“. მას შემდეგ, რაც დაამარცხა მეფემ ურჩი ერისთავი რომელმაც „მისცა ციხე თვისი ბაგრატს და თვით დაჯდა მამულსა თვისსა არგუეთს“. მეფემ კლდეკარის ერისთავობა ჩამოართვა რატის. რატის ერისთავობა დასტურდება და იგი მოხსენიებულია ატენის, შეჰიაკის,

⁶⁴ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ. 1990, გვ. 60.

დაშბაშის ეკლესიათა წარწერებში. ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვობაა, თუ ვინ მიიღო 988 წ. კლდეკარის ერისთავობა. ა. ბაქრაძის აზრით, 988-1023 წლებში კლდეკარის ერისთავი იყო ზვიად მარუშიანი, მხოლოდ მისი დაჭერის შემდეგ დაიბრუნეს ერისთავობა ბაღვაშებმა. ვ. კოპალიანის აზრით, ზვიად მარუშიანი არასდროს არ ყოფილა კლდეკარის ერისთავი, თუმცა იზიარებს აზრს, რომ ბაგრატმა 988 წ. ჩამოართვა ერისთავობა რატის. რ. მეტრეველის შეხედულებით, ბაგრატმა რატის ძე ლიპარიტი დასვა კლდეკარის ერისთავად და ამ გზით დაიმორჩილა ეს მხარე. ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისით: რატი ბაღვაშმა თავისი სამფლობელო გადასაცა ბაგრატ III-ს და თავად არგვეთში დასახლდა „ჩანს პატრონი და ვასალი ისე მორიგდნენ, რომ რატი ხელს აიღებდა თრიალეთზე, მაგრამ ისე რომ კლდეკარსა და თრიალეთს პატრონი რატის შვილს ლიპარიტს უწყალობებდა... ბაგრატმა კლდეკარელი ვასალი დაიმორჩილა და ლიპარიტი ერისთავად დასვა. სადავო საკითხია, თუ ვის გადასცა რეალურად კლდეკარის ერისთავობა მეფემ. თუმცა, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, რომ შირიმნის ბრძლაში 1021 წ. რატი ერისთავად იწოდება. მ. ბახტაძის შენიშვნით, მატთან ერისთავად მოიხსენიებს რატის, რადგან ერთ დროს იყო ერისთავი ან იციან რომ 1021 წლისთვის რატი რეალურად ფლობდა ერისთავის ხელს. ჩემი აზრით, მისაღებია უფრო მეორე ვერსია. ასევე გასათვალისწინებელი გარემოებებია, ბაღვაშები რომლებიც ძირითადად სამეფო ხელისუფლებას მტრობდნენ, გიორგი I-ის და ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში სამეფო კარის ერთგულნი არიან. „ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ გიორგი I-მა დაუბრუნა მათ კლდეკარის ერისთავობა. რატი I-ის ერისთავობა პირობითად შეიძლება განისაზღვროს 988 წლამდე და 1016-1021 წლებში. მ. ბახტაძის აზრით კლდეკარის ერისთავობას 988-1014 წლებში ზვიად მარუშიანი ფლობს, იგი თრიალეთის ტერიტორიაზე არსებულ ორ ეპიგრაფიკულ წარწერაშია მოხსენიებული. როგორც დიდი გომარეთის წარწერიდან ირკვევა, 1023 წ. მეფემ შეიპყრო ზვიადი და დააპატიმრა. როგორც ჩანს გიორგი I-სა და ზვიადს შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობდა. ს. კაკაბაძემ ნიკორწმინდის ხატის წარწერაზე დაყრდნობით გამოთქვა მოსაზრება, რომ ბაგრატ III-მ დამარცხებულ რატის მისცა რაჭის ერისთავობა, რასაც არ იზიარებს მ.

ბახტაძე და თვლის, რომ ბაგრატ III ორგულებს ახალ საერისთავოებს არ მიუმატებდა. ბაღვაშებს კი სავარაუდოდ ბაგრატ IV-ის დროს უნდა მიეღოთ რაჭის ერისთავობა“.⁶⁵

აღსანიშნავია, რომ ბაგრატ IV დროსაც, შინაური არეულობისას ატენი ბრძოლის ასპარეზად იქცა. ეს მისი მნიშვნელობით, სტრატეგიული მდებარეობით თუ სხვა ფაქტორებით შეიძლება აიხსნას.

XI ს-ში ბიზანტიისგან ზურგგამაგრებულმა ბაგრატის ნახევარძმამ დემეტრემ და „მეამბოხე ფეოდალმა,, კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ სცადეს ატენის ციხის აღება, მკვეთრად დაუპირისპირდნენ მეფეს, თუმცა მის ჯართან დამარცხდნენ. ატენის მესვეურებმა უერთგულეს მეფეს. „გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე ძმა ბაგრატისა, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა. და მიერთნეს სხვანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქვეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი. და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი, და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა-უფალნი, კაცნი მტკიცე იყვენს ერთგულებასა ზედა ბაგრატისსა, თვინიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა. გავიდეს ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას უამსა უზღუდო იყო. არე ზამთრისა მოწვეწულ იყო ბერძენთა ენება წასლვა. დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა, უბოძა მეფემან ქართლის ერისთავობა. წავიდნენ ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე თანა.“⁶⁶ საბოლოოდ კი ბაგრატ IV-თან დაპირისპირებული ლიპარიტ ბაღვაში ქვეყნიდან გააძევეს.

ატენის მიმართ ინტერესი, არა მარტო მდებარეობის და ძლიერი ციხის გამო ჰქონდათ, არამედ მისი დაკავება მნიშვნელოვანი უპირატესობა იყო. სწორედ ესაა გასარკვევი, რატომ იყო აქტუალური ატენის ფლობა და რა სარგებლის მოტანა შეეძლო მას? ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ატენის სტრატეგიულ მდებარეობასა და მაგისტრალურ გზებთან სიახლოვეზე. იგი ერთგვარი გასაღებია, ჯავახეთიდან და თრიალეთიდან შიდა ქართლისკენ. ტანას ხეობიდან გომარეთით, თრიალეთზე გადმოსასვლელი ფეოდალურ

⁶⁵ მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2004, გვ. 174-176.

⁶⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. 1955, გვ. 298.

ხანაში, საკმაო დატვირთვით მუშაობდა. ატენი, რომ სამხრეთით არის ორიენტირებული ზემოთ აღნიშნული მიზნების გამო, ისედაც დასტურდება. ლიპარიტმა ბაგრატ IV-სთან დაპირისპირების შემდეგ, რაც ვერ აიღო ატენი მიდის და ახალქალაქს ავლებს ზღუდეს-ამაგრებს. საინტერესოა რა მიზანი ჰქონდა მას? არ არის გამორიცხული, რომ ატენისგან ხელმოცარული მის საპირისპიროდ ახალქალაქის მოძლიერება გადაწყვიტა. კლდეკარის ერისთავები ატენში სამხრეთის გასაღებს და ძლიერ დასაყრდენს ხედავდნენ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს უპირატესობა კი ბაგრატ III-მ წაართვა. მათიანეში საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ ატენის ციხე და მტკვრის სამხრეთი პროვინციები რატის ჰქონდაო. ბაგრატ IV-ის დროს ლიპარიტი ცდილობდა დაკარგული გავლენის აღდგენას, თუმცა უშედეგოდ. სამაგიეროდ ყურადღება ახალქალაქზე გადააქვს და ცდილობს ამით აინაზღაუროს დაკარგული პოზიციები.

როდესაც ქალაქი შენდება, ბაგრატ IV-ის დროს საკმაოდ ძლიერი დასახლება ჩანს. სხვა ფაქტორები, რომ არ გავითვალსწინოთ VII საუკუნის ატენის სიონი ნათლად მეტყველებს, რომ ქალაქი უკაცრიელ ადგილას არ წარმოქმნილა. აქ არსებული მნიშვნელოვანი პუნქტი ბაგრატის მეფობის დროს გადაიქცევა ქალაქად. ატენს სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა, საიდანაც გზები მიემართებოდა სხვდასხვა მიმართულებით და შესაბამისად, აქ უამრავი ბაჟი შემოდიოდა და ეკონომიკური შემოსავალიც ჰქონდა. სწორედ, ეს ეკონომიკური სარგებელი განაპირობებდა სამეფო კარის თუ სხვა ფეოდალთა დაინტერესებას, რომლებიც ცდილობდნენ ამ მხარის დაუფლებას. აღსანიშნავია, წმ. გიორგის სახელობის, დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც დგას სოფლის ძველ უბანში, ასომთავრული წარწერის მიხედვით აგებულია 1060-1072 წლებში. ეკლესიის დას. ფრონტონის ჩასმულ ქვაზე შვიდსტრიქონიანი ძლიერ დაზიანებული ასომთავრული წარწერაა, რომლის მიხედვით ეკლესია აგებული უნდა იყოს ბაგრატ IV-ის მიერ.⁶⁷ ამ ეკლესიის წარწერა და ზოგადად მეფის აქტიური მოქმედებები, ხაზს უსვამს ქალაქ ატენის მნიშვნელობას სამეფო კარისთვის.

⁶⁷ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ. 1990, გვ. 60.

ბაღვაშთა ამბოხს საბოლოოდ ბოლო მოუღო დავით აღმაშენებელმა, რაზეც მათიანე შემდეგ სიტყვებით საუბრობს: „მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი კაცი ორგული და ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვაშთა სახლი განმამწარებელთა რამეთუ სვა უკანასკნელი თხლე რისხვისა. არღარავინ დარჩა საყოფელთა მათთა მკვიდრი. რამეთუ აიხსენა ურჯულოვება მამათა წინაშე უფლისა და მამული მათი აღიღო მეფემანო“.⁶⁸

დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში ატენში სამეფო საჭურჭლე იყო. შესაბამისად კლდეკარის საერისთავო და მასში შემავალი ატენის ხეობა ეჭირათ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს და ჰქონდათ პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა სამხრეთ საქართველოს პროვინციებთან და ბიზანტიის სამეფოსთან.

⁶⁸ ქართლის ცხოვრება, გვ. 241

თავი III

ატენი, როგორც სამეფო სოფელი

XIII საუკუნეში ვითარება იცვლება, მონღოლთა ბატონობის უღელმა მძიმედ იმოქმედა მთლიანად ქვეყანაზე. ამ პერიოდიდან, ატენი თანდათან კარგავს ქალაქის სტატუსს და გადაიქცევა სოფლად. აბალა ყაენმა ატენი სხვა სოფლებთან ერთად მისცა დავით ულუს. „ხოლო აბალა არა ავნო რა, რამეთუ იყო კაცი მონყალე და შემნდობელი ვითარ ძემორე ვთქვით, და წარგზავნა ქუეყანასა ერაყისასა, და მისცა ათორმეტი კაცი მას და ძესა მისსა, საზრდელი და შესამოსელი უხუად, ქორ-შავარდენნი და ავაზა, და განუჩინა მამულსა მისსა. და ესრეთ განსუენებით იყოფოდა და აღსრულდა. და ყაენმან აბალა მრავალი ნიჭნი და ძღუენი წარავლინა მეფესა დავითს წინა, და ქართლს მრავალნი სოფელნი და ატენი მისცნა. მაშინ წავიდა ყაენი სიბად და თან წარიტანა დავით მეფე“⁶⁹ დაზუსტებას საჭიროებს რა იგულისხმება ატენის გადაცემაში, თავისთავად მეფე ისედაც ქვეყნის მფლობელი იყო. შესაძლოა იგულისხმებოდეს, რომ ატენი რომელიმე ფეოდალის კერძო კუთვნილებიდან აბალა ყაენის ნებით, გადავიდა ისევ სამეფო დაქვემდებარებაში.

დემეტრე II-ის მეფობის დროს ატენის მფლობელი გახლავთ რაჭის ერისთავი კახაბერი, მაგრამ იგი მალე კარგავს, რადგან ლალატისთვის სიკვდილით დასაჯეს. ატენი კვლავ მეფეთა საკუთრებად იქცა. „ხოლო რაჭის ერისთავი კახაბერი იყო ქართლს, და აქუნდა ქვეყანა ატენისა და არა პატივი ეპყრა არცა ყაენისა და არცა დიმიტრი მეფისაგან, ორგულობისათვის მეფეთასა. ამისთვის შეინროებული ევედრა მეფესა, რათა შეინყალოს და უბოძოს მამული მასა. ხოლო ტკბილმან დ მონყალემან მეფემან შეინყალა და შეუნდო ფიცითა მტკიცითა, რათა არა აბრალოს პირველი შეცოდება და ეგოს ერთგულებასა ზედა მისსა, და მიუბოძა მამული მისის ყოველი, და კუალად აგო მამულსამისსა რაჭას. ხოლო ვითარ დაყო მცირედი უამი, იწყო მათვე მამურ-პაპურთა

⁶⁹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 267.

კუალა სლვად, და ვითარ ღორი ისწრაფდა მწვრეთა მიმართ, და ვითარ იქედნე გესლისა დათხევად, რამეთუ გვარისაგან მოაქუნდა ორგულობა“.⁷⁰

XVI ს. დასაწყისში ქართლის მეფე დავით X კახეთის მეფე ავგიორგიმ ატენის ციხეში გამოამწყვდია. *ბრძოლა რამდენიმე დღე გაგრძელდა, მაგრამ ავგიორგიმ ციხე მაინც ვერ აიღო. „ და აღდგა ავ-გიორგი დავითზედა და ვერარა დაუდგა დავით: სამღვრამდის იმერეთისამდე მოარბევდეს ქართლსა მრავალგზის. და თვით მეფე დავით შეამწყვდია ციხესა ატენისასა, მრავალდღე ბრძოდა, და ვერ წაუღო ციხე და მიიქცია თვისადვე ადგილსა. მაშინ რქუეს ძმათა დავით მეფესა ესრეთ ვითარმედ: „ მამათა ჩვენთა კახეთი მიუღეს და ან ქართლისაცა ჰნებავეს მიღება, ან ჩვენცა აღვდგეთ და მის ზედა და ვბრძოდეთ მათ. ხოლო მეფემან დავით არა ინება. მაშინ თქვა ძმამან უმრწემესმან ბაგრატ: მომეც მე მუხრანი საუფლისწულოდ ჩემდა და დროსა, დარაჯად ჩემდა, იყოს ერისთავი ქსნისა და ხეობა არგვსა და შვენიო ძალი ქრისტესი და თემიცა მისი“.* ⁷¹ დავითი დათანხმდა და ბაგრატმა ააშენა მტვერის ციხე. 1513 წელს „შეიპყრა ავ-გიორგი და პატიმარ-ჰყო მტვერის ციხესა შინა“, სადაც მოაშთვეს კიდევ. ამის შემდეგ, ბაგრატმა მუხრანში „ძველი ტახტი განაახლა“ და საცხოვრებლად გადავიდა, რასაც ქართლის შუაგულში ახალი სათავადოს –სამუხრანბატონოს წარმოშობა მოჰყვა, „რომელი არს მიერთვან ერთ სასპასჰეტოდ ანუ სადროშოდ, კუალად იტყვიან მიერ უამითვან იქმნა ქართლი ოთხ სადროშოდ“.⁷²

დავით გვრიტიშვილი აღნიშნავს: „ყოველი სათავადო გარკვეულ ისტორიულ პირობებში წარმოიქმნება. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც სამუხრანბატონო წარმოადგენს გამონაკლისს. განსხვავება აქ ისაა, რომ სამუხრანბატონო უშუალოდ სამეფო მამულის – სახასო ქონების გამონაყოფს წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ესა თუ ის საამილახორო თუ

⁷⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 275.

⁷¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 350.

⁷² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 394.

საერისთავო თავის დროზე საქვეყნოდ გამრიგე მოხელის სამოხელეო სარგო იყო და შემდეგში, თანდათან, გადაიქცა ამ მოხელის სამკვიდრო მამულად“.⁷³

XVI საუკუნის დასაწყისიდან, ქართლის მეფე ლუარსაბ I შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა სპარსეთის შაჰ თამაზის წინააღმდეგ, რომელმაც აიღო თბილისი და მეფე იძულებული გახდა გადმოსულიყო ქართლში კერძოდ გორში. მემატთანე შემდეგნაირად ასახავს ფაქტს: „ხოლო შაჰ-თამაზ მოვიდა გორს და აღიღო ციხე წედისისა, ციხე ძალათ აიღეს და ვერის ციხე ნებით მოსცა ფარსადან და უვნებლად ციხოვანნი მორჩნენ იქილამ და მიაღვა ციხესა ატენისასა, რომელ არს თავსსა საცივისასა, რამეთუ მას შინა იყუნეს დედა და ლუარსაბისა და სხვანი მრავალნი ჯალაბნი თავადთანი. „ამისათვის გარედამ ყენის ლაშქარი შემოადგა და შიგნიდამ ქართველნი, დაუწყეს ერთმანეთს ცემა და ბრძოლა და მრავალნი ყიზილბაშნი დაიხოცნენ და ციხის აღება გაძნელდა, ამისთვის რომე არც სიბა მიიტანებოდა და არც სით თოფი ესროლებოდა და თათარი ერთი ფარეში, კავთისხვეველი ბეთიაშვილი, ფარეში მეფის ლუარსაბის დედისა დაიჭირეს და სიკვდილის შიშით მან უთხრა: „თუ არ მომკლავთ ციხეს აგაღებინებთო“. შესაბამისად გაანდო მტერს საიდუმლო, რომ „ჩრდილოეთისკენ მომცრო წყალი გამოუდისო და ის დაუჭირეთო, ღონე გაუწყდებათ და დანებდებიანო.“ ამ გზით სპარსელებმა შეძლეს ციხის აღება და დედოფლის ნესტან-დარეჯანის, მისი თანმხლები პირების ტყვედ ჩაგდება 1556 წ. დედოფალმა კი გზაშივე თავი მოიწამლა. მეფე ლუარსაბი ხან აჩაბეთის სიმაგრეში და ხან იმერეთში აფარებდა თავს.⁷⁴

XVIII-ის 30-იან წლებში, ქართლის მეფე როსტომს აუჯანყდნენ თეიმურაზ I -ის მომხრე ფეოდალები, რომლებმაც თავი ატენს შეაფარეს. ატენის ციხეს შეფარებულს ებრძოდა, აგრეთვე როსტომ მეფე ნოდარ ციციშვილს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მემატთანე მოგვითხრობს: „გამოხდა ხანი რამე, შეკრეს პირობა ზაალ ერისთავმან, იოთამ ამილახორმან, ნოდარ ციციშვილმან, კათალიკოზმან დიასამიძემან ევდემონ, გოჩაშვილმან გიორგი, და ზოგმან რომელმანმე ქართველმანცა, ამათ ინებეს განდგომა

⁷³ დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ. 1955, გვ. 102.

⁷⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 506-507.

როსტომ მეფისა. და უფროსრა ცდილობდა კათალიკოზი ევდემონ ამისთვის, რომე ამისი ძმის ასული ბატონი თეიმურაზის შვილს ცოლად ესვა. ამათ გაუგზავნეს ბატონს თეიმურაზს კაცი და მისცეს საფიცრები და პირობა დიდი და იხმეს: კუალად მოდი ქართლში და გაგაბატონებთო“. ამაში ნოდარ შემოიყარა ჯარი და წარვიდა. რა სცნეს საქმე ესე როსტომ მეფემან შემოიყარა ჯარი და წამოემართა იგიცა ნოდარზედა, მოვიდა დადგა საჯავახიანოს. ვითარცა ესმა ნოდარსა წარმოსვლა მეფისა გაიქცა და წავიდა დევნა უყო როსტომ მეფემან. ხოლო ნოდარ ივლტოდა და შევიდა ციხესა ატენისასა“. მეფემ შეძლო აჯანყებულების დამარცხება, აიღო ატენის ციხე. ნოდარ ციციშვილმა კი თავი საათაბაგოს შეაფარა.⁷⁵

ატენი, რომ სამეფო დომენი იყო და მას შესაბამისი თავდაცვითი ფუნქციაც გააჩნდა, ხაზს უსვამს შემდეგი ფაქტი: ოსმალთა შემოსევების დროს უფლისწული ბაქარი თავს აფარებს სწორედ ატენს: „ხოლო ბაქარ უსპობითა ვერ დაუდგა და წარვიდა ატენს, და ოსმალთა დაიპყრეს საბარათიანო. არამედ გაზაფხულს წარავლინა ბაქარ სპანი, ამით მოსწყვდნეს თრიალეთს მყოფნის ოსმალნი და ფოკას მოსრნეს მხედარნი ტფილისს მომავალნი. ოსმალნი მოვიდნენ გორსს, მოარბიე ვარემონი, დაიპყრეს. უკუნქცეულთა შთავლეს საამილახვრო, მუხრანი და მივიდნენ ტფილისს“.⁷⁶

საინტერესო მომენტია, აღწერილი ერეკლეს მეფობის დროს, ქართლის ცხოვრების კონკრეტულ მონაკვეთში: „კუალად შეაპყრობიან მეფემან ქაიხოსროსა ძმისწულსა თვისსა სააკაძე ბეჟან, ვინაითვან ამხილებდა იგიცა ნაზარ-ალიხანისა თანა და აღმოხადნეს თვალნი (ვითარცა ძმამან მისმან პირველ ქცხინვალს ყოფასა შინა არა მისცა ამეფესა ღვინო ატენილამ, ამისთვის შეიპყრა აღმოხადნა თვალნი). ხოლო შემდგომად მოეშუელა ერეკლე მეფესა აბაზ-ყულიხან და ამით განგრძელდა ბრძოლა მუნებური დ ვერარაი ავნეს ურთიერთს“.⁷⁷ ამ კონკრეტული ცნობიდან კარგად ჩანს, ატენის სამეფო

⁷⁵ ქართლის ცხოვრება. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. 1959, გვ. 422.

⁷⁶ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება.ტ. IV. 1973, გვ. 507.

⁷⁷ ქართლის ცხოვრება. ტ. IV. 1973, გვ. 470.

კარისადმი დამოკიდებულება და ის ვალდებულება, რაც გააჩნდა, როგორც სამეფო დომენს. ფუნქციის არ შესრულებისას კი შესაბამისად ისჯებოდა ბატონი.

ქართული სამართლის ძეგლებშიც, არაერთგან ვხვდებით ატენთან დაკავშირებულ საბუთებს თუ ოქმებს, სხვადასხვა დავებისა და თუ კუთვნილების საკითზე. ქვემოთ განვიხილავთ ჩვენთვის საინტერესო საბუთებს.

1392 წლის 1 დეკემბრის, ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში ატენი უკვე მოხსენიებულია სოფლად და გლეხები მამულით და აგარაკითურთ საკათალიკოსო გამგებლობაშია.⁷⁸

1447 წ. 25 დეკემბრის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში კვლავ მოიხსენიება ატენი და მეფე ალექსანდრე ანახლებს სიგელით, რომელმაც შეწირა სხვადასხვა სოფელი ეკლესიას თავისუფლად და შეუვალობით. ამ გუჯარით ასევე ეკლესია თავისუფლდებოდა ყოველგვარი „სათხოვარისა თუ გამოსაღებისგან“. ზოგადად ცნობილია, რომ საეკლესიო მიწები თავისუფალი იყო ყოველგვარი გადასახადებისგან და გარკვეული შეუვალობით სარგებლობდა.⁷⁹ მსგავსი ტიპის და შინაარსისაა, შემდგომ პერიოდში (1559 წ) ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი, სადაც ასევე საკათალიკოსო შეწირულ მამულებშია მოხსენიებული სოფელი ატენი.⁸⁰

საინტერესოა, 1687 წლის „შეწირულობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა სვეტიცხოვლისადმი“, სადაც საუბარია კათალიკოზის მიერ სააღმშენებლო თუ მოსახლეობის განსახლებასა და სხვა საქმიანობაზე. აღწერილია ამა თუ იმ საეკლესიო, შეწირულ სოფელში მიმდინარე ცვლილებები მათ შორის კათალიკოსი ასახელებს ატენს, სადაც ერთი კომლი დარჩაშვილი დაუსახლებია. „ატენს ერთი კუამლი კაცი დარჩაშვილი დავასახლე და აქავე მარანში ორი დიდი და სამი ცოტა ქვევრი ჩავდგი“.⁸¹

⁷⁸ ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 176-177.

⁷⁹ ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 187-188.

⁸⁰ იქვე, გვ. 263-264.

⁸¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ. 1970, გვ. 591.

აღსანიშნავია, 1727 წლის „წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა იასე ტლაშაძისადმი“, რომელიც შედგენილია სტამბოლში. დომენტი კათალიკოზი განსაკუთრებულად აღნიშნავს მღვდლის იასე ტლაშაძის ერთგულებას და სამსახურს, რის სანაცვლოდაც ატენში სახუცოდ უბოძა 23 კომლი კაცი. საინტერესო დეტალია, კათალიკოსმა შეწირული დაუმტკიცა სამუდამოდ მას და მის შვილებს, ხოლო მას შემდეგ ვინც არ უნდა ყოფილიყო არავის უნდა გაეუქმებინა ეს გადაწყვეტილება. აქვე ვიგებთ, XVIII ს-ის პირველ ნახევარში სოფელი ატენი კვლავ საეკლესიო მამულებში შედის და კათალიკოსი განკარგავს. „ოდეს ბედნიერს ხვანთქარს კარზედ დავებარებინეთ და ჩვენც ჩვენის მამულისა და საყდრის მოსავლელად წავედით, გიბრძანეთ თანხლება და გვემსახურეთ. და ჩვენც გიბოძეთ ატენში სახუცოდ 23 კომლი კაცი, რომ ის სახუცო არაოდეს არ გაეთხოვებოდეს არაჩვენვან და არცა სხვათა შემდგომთა პატრიარქთავან ამასალად გიბოძებია“.⁸²

ატენი იხსენიება ბრძანებაში, „დომენტი კათალიკოზისა იასაულისადმი პაპუნა დოქიდისთვის მამულის მიბარების შესახებ (1795-1741 წწ.) დომენტი კათალიკოზი ლაზარე ბერიშვილის მამული და სახლკარი პაპუნა დოქიდისთვის მიუბარებია. თუმცა, ამის მიზეზი არაა დასახელებული. შესაძლოა, უმემკვიდროდ გარდაიცვალა და მამული ამიტომ უბოძა სხვას ან რაიმე დანაშაულის გამო ჩამოერთვა და გაასახლეს.⁸³ პაპუნა დოქიდის და მისი შთამომავლობის ამონყვეტის შემდეგ, სახლთუხუცესი ამილბარ მაღალაშვილი სთხოვს კათალიკოსს ამ კონკრეტულ მამულს. სწორედ ამ საკითხს ეხება“ წყალობის წიგნი ანტონ II-სა სახლთუხუცეს ამილბარ მაღალაშვილისადმი 1795 წ. 20 სექტემბერი. კათალიკოსი უმტკიცებს ამილბარს და მის შთამომავობას დოქიდის მამულს. „მოხვედით და გვეაჯენით ჩვენისა სახასოს ყმის დოქიდის ამონყვეტილის მამულს ატენშია და სხუავან, საცა იმისა მამული არის. შევიწყალეთ და გიბოძეთ დოქიდის მამული თვისის მითითა, ბართა, წყლითა და წისქვილითა სახნავითა და უხნავითა. ყოველივე სრულებით

⁸² ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. III. 1970, გვ. 713.

⁸³ ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. III. 1970, გვ. 757.

გვიბოძებია დოქიძის პაპუნასი და იმისის შვილის გლახას მამული. ვიბედნიეროს ღმერთმან ჩვენისა ერთგულებასა და სამსახურსა შინა, არაოდეს არ მოგეშალოს“.⁸⁴

საინტერესოა განჩინება ამირინდო ამილახორისა და მისი ბიძაშვილების ყმა-მამულის საქმეზე. 1754 წ. 15 ივნისი. კონკრეტული დავის გამო ჩიოდნენ მეფე თეიმურაზსა და ერეკლესთან. არსებული ვითარება განიხილეს, სამართლიანად გადაწყვიტეს და ყმა-მამულები განსაკარგავად გაუნაწილეს. რაც შეეხება ატენს: „ატენს მარჯანიძის ვენახი საერთო არის . ატენს ზვარი, რაც ვიორგი ამილახორს უყიდნია ის დემეტრესი არის. და იმისა გარდა რაც ზვარი არის საერთოა“.⁸⁵

ქსნის საერისთავოში შემავალ სოფლების აღწერის სიაში, რომელიც ხეობების მიხედვით არის დაყოფილი ატენი, სამეფო დომენად (სოფლად) არის მოხსენიებული. (ლესურის ისროლის, მეჯუდის ხეობა-ატენი 19 კომლი, 75-კაცი, 54 ქალი).⁸⁶

საგულისხმოა, საციციანოს წარმოქმნის შესახებ გაცემული ორი საბუთი: მეფე კონსტანტინეს მიერ გაცემული 1467 წ. და ივანე ბატონიშვილის მიერ 1799 წ. კონსტანტინე უმტკიცებს ზაზა ფანასკერტელს და მის შთამომავლებს ქვახვრელს, უფლისციხეს, კარალეთს ეკლესიით და გლეხობით. კონკრეტული საბუთი საციციანოს წარმოქმნის დასადგენად გვეხმარება. ზაზა ფანასკერტელი და მისი შვილები კონსტანტინეს სახლის თავადები არიან, რომლებიც მოდიან ტაოდან. სხვა საბუთებიდან ცნობილია, რომ ზაზას მამა თაყა ალექსანდრე I-ის (1412-1442) თანამედროვე იყო. თაყა 1415-1419 წლებით დათარიღებულ საბუთში გვხვდება. მას ატენზე ხელი მიუწვდებოდა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, თაყა ატენის მოურავი უნდა იყოს. ციციშვილები ერთ-ერთი დაწინაურებული თავადები იყვნენ, რაზეც მეტყველებს თაყას დის სადიხათუნის ვახტანგ მეფეზე ქორწინება. ციციშვილების მოსვლა ქართლში, ადგილობრივი თავადების შევიწროების ხარჯზე ხდება, რაც მათ შორის მტრობის საფუძვლად იქცა.⁸⁷

⁸⁴ იქვე, გვ. 1023.

⁸⁵ ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. IV. 1972, გვ. 435.

⁸⁶ დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1955, გვ. 81

⁸⁷ დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1955, გვ. 125

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ყოველწლიურ სხვადასხვა კატეგორიის გადასახადს იხდიდა, „საციციანოს ნაჰიე“ ოსმალთა წინაშე. თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი მიანიშნებს „ოსმალთა“ შედეგად, მომრავლებულ ნასოფლარებს, დაცარიელებულ ეკლესიებს. საციციანოს ნაჰიეში, არსად სახელდება ციხე-სიმაგრეთა სახელები, რაც მიანიშნებს, რომ ოსმალების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებსა და ციხეებს, ხშირად სულთნის ბრძანებით ანგრევდნენ. მ. მიჩიტაშვილის აზრით, სწორედ საციციანოს სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ანტიოსმალური აჯანყების თავიდან ასაცილებლად, იგივე გავრცელდა ატენის, წედისის, მძოვრეთის, სამწვერისის, და სხვ. ციხე სიმაგრეებზე. მტერი შიშობდა ციხეების ხელში ჩაგდებათ, ადგილობრივ მმართველებს არ მისცემოდათ წინააღმდეგობის გაწევის საშუალება. თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ქართული ეკლესიის შესახებ ცნობები არ ჩანს. თუმცა ცნობილია, ოსმალთა დამპყრობლები როგორი სისასტიკით გამოირჩეოდნენ ეკლესიის თუ სასულიერო პირთა მიმართ. ამ მხრივ საყურადღებოა, სოფ. ატენის გადასახადთა ჩამონათვალში, „მურახასიე გაბრანი“ (ეპისკოპოსებისთვის დანესებული ოსმალური გადასახადი), რომელიც შეადგენდა თითოეული კომლიდან 30-30 ახჩას. აქედან ჩანს, რომ მთელი საციციანოს ნაჰიეში, მხოლოდ ატენის საეპისკოპოსოში ფუნქციონირებდა ქრისტიანული ეკლესია, რომელიც მცირე მამულებს ინარჩუნებდა.⁸⁸

1804 წლების აღწერისას მიმოხილულია მდ. პატარა ლიახვისა და მეჭუდას შორის მდებარე სოფლები. საქმე უნდა გვეჩვენოს დიდი და პატარა მეჭვისხევის აღწერასთან, ხოლო კოლოტებსა და ზონკარს შორის მითითებულია ატენის აღწერა. ს. ალიმბარაშვილს ეჭვი ეპარება, რომ ხსენებულ სოფელში ტანას ხეობის, ცნობილი სოფელი ატენი მოიაზრება და შესაბამის არგუმენტებსაც გვთავაზობს: *„გეოგრაფიული თანმიმდევრობით აღწერილია, პატარა ლიახვის, მეჭუდასა და ქსნის ხეობის შემო წელის სოფლები, ატენი კი კონტექსტიდან ამოვარდნილია. ასევე მანძილის გარკვეული აღრევა გვაქვს, აღმწერებს კი ასეთი შეცდომა ნაკლებად მოუვიდოდათ. ატენელები ეწვიან*

⁸⁸ მ. მიჩიტაშვილი. საციციანოს ისტორია. I. 2016, გვ. 143-146.

მესაქონლეობას და გადასახადსაც შიანური პირუტყვით იხდიან, რაც ზოგადად მთის მოსახლეობისთვისაა დამახასიათებელი. სოფელი ატენი, კი მთელ ქართლში ცნობილია მევენეახეობით და განსაკუთრებული ღვინით, შესაბამისად ეს გარემოება ვერ გამორჩებოდათ აღმწერებს. ატენის ხეობა ლეკიანობისაგან 1804 წ. თითქმის დაცლილი იყო მოსახლეობისგან და მისი ხელახალი განსახლება უკავშირდება 1817-1821 წლებს“.⁸⁹ საგულისხმოა, რომ ატენი წოლდევისა და კოლოტებს შორისაა მოხსენიებული კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტებშიც. სოფლის მოსახლეობა 19 კომლია უმრავლესობა ქართველია. მისდევნ მესაქონლეობას, თესვენ ხორბალს შვრიას, ქერს. ზაფხულში დადიან ქართლში სამუშაოდ. ღალას იხდიან კომლზე 1 თხასა და 1 ბატკანს წლიურად, მოსახლეობა ღარიბია და სხვ.

ე. თაყაიშვილის მიერ 1851 წ. გამოცემული ქსნის საერითავოს აღწერილობა ასახავს 1781 წ. მდგომარეობას, რომელიც იწყება ისროლისხევის ატენიდან, რომელიც გოგია ფიცხელაურის სამოურავო ყოფილა და აღწერილია 9 კომლი (16 სული), ქართველი ეროვნების.⁹⁰ ცნობილია, რომ ისროლისხევი მდებარეობს მდ. მეჯუდის სათავესთან ცხინვალის ჩრდ-აღმოსავლეთით. საკითხის საბოლოო გარკვევაში, გვეხმარება ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი. მისი განმარტებით: სხლებს გარშემო მეჯუდაზე მდებარეობს 4 ოსური სოფელი: ასატური, არდისი, ბერზიათკარი, ტბა და ქართული სოფლები დათვიანთკარი, წოლდევი, ატენი, ჯავახკარი, ისროლი და სხვ. გიულდენშტედტი ატენის ზუსტ ლოკალიზაციას გვანვდის, რაც აღწერილი სოფლის ტანას ხეობის ატენთან იდენტიფიკაციას გამორიცხავს და მას მდ. მეჯუდის ხეობაში ათავსებს.⁹¹

XVIII ს-ში ლეკების ხშირმა შემოსევებმა დააკნინა ატენი, დაუკარგა თავისი ფუნქცია. XIX ს-ში სოფელი ატენი, განაწილებული ჰქონდა ტანას ხეობის მარჯვენა მხარე მებატონე ერისთავის კუთვნილებაში იყო, მარცხენა კი ორბელიანის. ატენის ხეობა, მდიდარია თავდაცვითი ნაგებობებით თუ ისტორიული ძეგლებით: ციხე-კოშკებით.

⁸⁹ ს. ალიმბარაშვილი. შიდა ქართლის ზოგიერთი გამჭრალი სოფლისა და ტოპონიმის დაზუსტებისა და ლოკალიზების ცდა (1804 და 1818 წლების აღწერების მიხედვით), გვ. 4

⁹⁰ ე. თაყაიშვილი. ქსნის საერითავოს სტატისტიკური აღწერილობა. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. ტ. 45. თბ. 1951, გვ. 5.

⁹¹ ს. ალიმბარაშვილი. შიდა ქართლის ზოგიერთი გამჭრალი სოფლისა და ტოპონიმის დაზუსტებისა და ლოკალიზების ცდა (1804 და 1818 წლების აღწერების მიხედვით), გვ. 4-5.

თავდაცვის კუთხით ამ ციხეებმა მნიშვნელოვანი სამსახური გასწია XVI-XVIII საუკუნეებში, როდესაც ოსმალეთი და ირანი საქართველოს ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ებრძოდა. ამავე სახელმწიფოების ხელშეწყობით, ლეკთა რაზმები თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ სოფლებს, ტყვეებს იტაცებდნენ და ყველანაირი დოვლათის გარეშე ტოვებდნენ მოსახლეობას. ვითარება გართულდა XVIII ს-ში, როდესაც ახალციხის ფაშას ხელშეწყობით, ლეკთა ბრბოები ტანას ხეობით გადმოდიოდნენ შუა ქართლში და მოსახლეობას აწიოკებდნენ. ხეობა ვერ უძლებდა ლეკ აბრაგთა თარეშებს და მოსახლეობა ინტენსიურად ტოვებდა და იხიზნებოდა უსაფრთხო ადგილებში. ატენის ხეობის ძველი მოსახლეობა ძირითადად იხიზნებოდა ხიდისთავში.

სოფელი ხიდისთავი მდებარეობს, იქ სადაც მდ. ტანა უერთდება მდ.მტკვარს. სოფელს ეს სახელი ეწოდა იმის მიხედვით, რომ ძველად აქ იყო გორში მისასვლელი ხიდი.

ძველი გორის გზა მიემართებოდა ტანასა და მტკვრის ხეობით, რომელიც ამ ხიდზე გადიოდა. მგზავრები და ქარავნები გადადიოდნენ ამ ხიდზე და უშუალოდ ქალაქ გორში შედიოდნენ. ხიდისთავს საბაჟო-გამშვები პუნქტის ფუნქცია ეკისრა. იგი ებარა ერისთავს, რომლის სასახლე, სოფლის თავზე პირდაპირ გადაჰყურებდა ხიდს და აკონტროლებდა მგზავრთა მიმოსვლას. სოფელი ორ უბნად იყო დაყოფილი: ხიდისთავი და ოხერა. საყურადღებოა, რომ მას არ ჰყოლია მებატონე და სახაზინოდ (სამეთოდ) ითვლებოდა. აქ ყოფილა ძველი ეკლესიები, რომლებიც 1920-იანი წლების მიწისძვრამ იმსხვერპლა. აქური გვარები გადმოსულები არიან ატენის ზემო მხრიდან. მაგალითად, ტლაშაძეს უცხოვრია ატენში, მაგრამ ლეკიანობის გამო გადმოსახლებულა ხიდისთავში. საკმაოდ შეძლებული გვარი ყოფილა. ამ გვარს ბატონი არ ჰყოლია. ციციშვილები ცდილობენ ტლაშაძეების ყმებად გადაქცევას, არაფერი გამოუვიდათ. ტლაშაძეებს უჩივლიათ ხელმწიფესთან და მასაც მოუწერიათ: „ტლაშაძის კარზე მზისა და წვიმის გარდა არაფერმა არ გაიაროსო, თორემ რისხვას მიიღებთო“.⁹² ატენის ხეობაში ყველაზე გავრცელებული გვარებია: ტლაშაძე, ვანიშვილი, ჯიოშვილი, ჰავლიაშვილი.

⁹² ს. მაკალათია. ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 12.

ლეკიანობამ მრავალი სოფლის დაცარიელება გამოიწვია. XIX ს-ში ამ მხრივ, რომ რთული სიტუაციაა მოწმობს ერმოლოვის ოფიციალური მიმონერა რუსეთის ფინანსთა მინისტრთან. 1817 წლის 8 მარტის წერილში ვკითხულობთ: „გრენადერის სარეზერვო ბრიგადის სარდალმა გენერალ-მაიორმა თავადმა ერისთავმა მომმართა თხოვნით, რომ მას გადაეცემა სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობაში ატენის ხეობა, რომელიც იმყოფება გორის მაზრაში, იმ პირობით, რომ იგი ამ უკაცრიელ ადგილებზე დაასახლებს 50 კომლ თავის საკუთარ გლეხებს და მათგან იყოლიებს მუდმივ ყარაულებს, მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ, რომლებიც გადმოდიან ახალციხის საფაშოდან და ატენის ხეობით აწყობენ ქართლის დარბევას“ მიმონერიდანაც კარგად ჩანს ამ პრობლემის აქტუალობა და შედეგი.

მოგვიანებით, ერმოლოვი ავალეს თავის მოხელეს მოახსენოს ხეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ცნობილი ხდება, რომ ამ პერიოდისთვის ეს ხეობა უკვე არ აღემატება 15 ვერსს. მასში არ არის სახაზინო ბაღი, ორი დესეტინის ოდენა და იძლევა სულ 100 თუნგ ცუდ ღვინოს, სახნავი მიწები სულ არ არის. იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ დიდი სარგებლის მოტანა არ შეუძლია ხეობას და ლეკთა თარეშის აღკვეთის მიზნით, აკმაყოფილებენ გენერალ-მაიორ ერისთავის თხოვნას და გადასცემენ მას სამუდამო მფლობელობაში გარკვეული ვალდებულებით: 1. დროულად დაასახლოს თავისი გლეხები ამ ტერიტორიაზე არანაკლებ 50 კომლისა, 2. თავისი გლეხებისგან შეადგინოს მუდმივი ყარაული რაზმი ლეკთა თავდასხმებისგან დასაცავად.⁹³

არანაკლებ ინტერესს იწვევს, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ერმოლოვის მეორე წერილი რუსეთის ფინანსთა მინისტრის მიმართ (1819 15 აპრილი), რომელიც აღნიშნავს განკარგულების აუცილებლობას და ლეკთაგან არსებულ საფრთხეს. ეს ხეობა, ესაზღვრება ახალციხის საფაშოს და ჯერ კიდევ საქართველოს უკანასკნელი მეფეებიდან დაწყებული, რუსეთის ხელისუფლების აქ დამყარების შემდეგაც იგი უკაცრიელია ყარაული თავდასხმების შიშით, რომლებიც აქედან ქართლს არბევდნენ. მთავრობას მანამდეც არ ჰქონია შესაძლებლობა, სახაზინო გლეხები დაესახლებინა იმ რაოდენობით,

⁹³ ს. მაკალათია. ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 8- 10.

რომ მათ შეძლებოდათ ყარაულები ჰყოლოდათ და დაეცვათ თავი ჯარის დაუხმარებლად. ერმოლოვი ამბობს, რომ მისი მოსაზრება გამართლდა და გენერალ ერისთავის მიერ 50 მეკომურის, ატენის ხეობაში გაგზავნის შემდეგ უკვე მეათე თვეა, რაც აღარც ყარაღთა თავდასხმებს და დარბევებს ჰქონია ადგილი. შესაბამისად ითხოვდა შეამდგომლობას მისი უდიდებულესობის წინაშე ამ მამულის სამუდამო სამემკვიდრეო საკუთრებად თავად ერისთავზე დამტკიცების დაჩქარების შესახებ.⁹⁴

ამ წერილების შინაარსი ნათლად ასახავს XIX საუკუნეში ამ ხეობაში არსებულ მძიმე ვითარებას. გიორგი ერისთავი, ხდება ატენის ხეობის მებატონე და თანახმად პირობისა, მან ქსნის ხეობიდან დაიწყო თავისი გლეხების გადმოსახლება და მხარის მოშენება-გაძლიერება.

⁹⁴ ს. მაკალათია. ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 11.

თავი IV

მატერიალური კულტურის ძეგლები, მოსახლეობის ყოფა- ცხოვრება

ატენის ხეობა გამორჩეულია თავისი ისტორიული წარსულით, მათ შორის მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომელთა მიმოხილვა პირდაპირ მეტყველებს მოსახლეობის მაღალ კულტურულ, თუ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. თანამედროვე სოფელ ატენის გარშემო სულ 25 სოფელია. ნაწილს შემოუნახავს ძველი სახელი, ბევრია ნასოფლარი და ახლად გაშენებული სოფლებიც. თუ შევადარებთ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ აღწერილ, იოანე ბაგრატიონის და საბჭოთა პერიოდში შედგენილ ნუსხებს ნათელია, რომ ზოგიერთი სოფელი საერთოდ კარგავს სოფლის სტატუსს და აღარც გვხვდება, მათ ნაცვლად კი ახალი სოფლები ჩნდება. შესაძლოა ერთის მხრივ, ვივარაუდოთ ზოგიერთი სოფლის მოსახლეობისგან დაცლა-გაქრობა ან ადგილი ჰქონოდა სოფლის სახელის ცვლილებას თუ, რომელიმე შედარებით დიდ სოფელთან გაერთიანებას. 1794-1799 წლებში მეფე ერეკლე II-ს და გიორგის ბრძანებით, აღიწერა ქართლ-კახეთის სოფლები, მეფის ძის იოანე ბაგრატიონის მიერ. აღნუსხულ იქნა ხეობა და თითოეული სოფელი, რომელიც განეკუთვნებოდა სამეფო, სათავადო, სააზნაურო თუ საეკლესიო კატეგორიას. აღნიშნულ აღწერაში ატენი სოფლად იხსენიება.⁹⁵

ატენის ხეობა მდიდარია ისტორიული ძეგლებით: ციხე კოშკებით, ეკლესია მონასტრებით. გვხვდება დაახლოებით 50-მდე ძველი ეკლესია, რომელთა უმრავლესობა დანგრეული ან 1920 წლის მიწისძვრისგან დაზიანებულია. ეკლესია მონასტრების სიმრავლე, პირდაპირ მოწმობს მოსახლეობის მჭიდროდ დასახლებაზე. ხეობის თითოეული სოფლის სიდიდის, შესაბამისად მრევლის რაოდენობის მიხედვით ზოგიერთ სოფელში რამდენიმე ტაძარიც კი იყო. ხეობის ცენტრალურ სოფლებში ატენში, ვერეში, ტუსრებში, ზემობოშურში, წეროში იყო დიდი მოცულობის და გამორჩეული ნაგებობის

⁹⁵ იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბ. 1986, გვ. 31.

ტაძრები. მათ შორის აღსანიშნავია: დიდი გარდატენის ღვთისმშობლის ეკლესია (XII ს), ფერისცვალების მწვანე საყდარი (X-XI ს.ს.), ორსაყდრის ეკლესია, წმ. ბარბარეს, კვირაცხოვლის, იოანე ნათლისმცემლის, წმ. ნინოს სახელობის ეკლესიები. დანახვისის წმ. გიორგის ეკლესია (დგას სოფლის სამხრ-დასავლეთით 7კმ-ზე, მთის წვერზე. თარიღდება ადრინდელი ფეოდალური ხანით).⁹⁶ არქიტექტურული იერსახით გამორჩეულია-ორბელიანების ეკლესია, რომელიც, ატენის სიონის ტაძრის ჩრდ-დასავლეთით, მისგან 150 მ. დაშორებით დგას კლდის ქიმზე, შედგება ორი ერთმანეთზე მიდგმული ეკლესიისგან. (გვიანი ფეოდალური ხანისაა), თავდაპირველად ააგეს სამხრეთით მდგარი დარბაზული ეკლესია, შემდეგ კი კლდის ქიმი ხელოვნური ბაქნით გაზარდეს და მეორე დარბაზული ეკლესია მიუშენეს ჩრდ-დან, რომლებიც ძლიერ დაზიანებულია.⁹⁷

სტარტეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ხეობა შესაბამისად იყო გამაგრებული, რომელთაგან აღსანიშნავია ატენის, ვერეს და წედისის ციხეები. რაც შეეხება მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, მას აუმჯობესებდა მაგისტრალურ გზასთან სიახლოვე, შესაბამისი განვითარების მაჩვენებელია, არსებული პირველხარისხოვანი ნაგებობები და მათი სტრუქტურა.

ჩემი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ატენის მთავარი თავდაცვითი ნაგებობა ატენის ციხე, რომელიც როგორც ჩანს XI საუკუნემდე ბევრად ადრე არსებობდა და ასრულებდა თავის ფუნქციას. ს. მაკალათია თავის ნაშრომში „ატენის ხეობა“, გვთავაზობს ხეობის ეკლესიათა თუ ციხეთა მდგომარეობის დეტალურ დახასიათებას. შესაბამისად გამოვიყენებთ, მის ცნობებს კონკრეტული ძეგლის განხილვისას. *„ატენის ძველ ციხეს, რომელიც მაღალ და კლდოვან გორაკზეა აგებული, ორივე მხრიდან ხევი ჩამოედის. ერთს ეწოდება საცივისხევი, საიდანაც გამოდის ვრილი ნიავი და შესაბამისად, წინათ აქ ჰქონიათ ღვინისა და ხორცეულის საცივარი თარო-თახჩებით, სადაც ინახავდნენ ზაფხულობით გასაცივებლად პროდუქტებს. მეორე ხევი, რომელიც ციხის ქედს ჩამოედის ჩრდ. მხრიდან არის აბანოს ხევი, რომელსაც ვახუშტი*

⁹⁶ გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. თბ. 2013, გვ. 63.

⁹⁷ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ. 1990, გვ. 60.

უნოდებს „თბილ წყალსა, მკურნალს ბუგრისა“. 1920 წ. მიწისძვრის შედეგად დაინგრა ციხის სამხრეთი ნაწილი. ციხეს სტრატეგიული ფუნქცია გააჩნდა და იცავდა შიდა ქართლიდან სამხრეთ საქართველოსკენ მიმავალ გზას.⁹⁸ ციხე ნაგებია კლდის ქვით დუღაბით, რომელსაც აქვს მრგვალი ფორმა და ერთი შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან. ციხეზე მისასვლელი საკმაოდ ვიწრო და დაქანებული ბილიკია. ციხეში წყალი მიღების საშუალებით, მიწნოდებოდათ უღელტეხილის წყაროდან (დაშორებულია 5კმ.), რომელიც გროვდებოდა ციხის აუზში. ციხე ორი განყოფილებისგან შედგებოდა, აქედან ერთი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო მეციხოვნეებისთვის, სადაც თავსდებოდნენ მემრეხები და ციხის მცველები. თუმცა ციხის კედლებს არ აქვს სათოფურები, რაც პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ციხის ნაგებობის კონსტრუქცია ძველია. შესაძლოა, ატენის ციხის აგება დაუკავშიროთ ატენის სიონის მშენებლობას VII ს-ში, კონკრეტული მიზნით, რომ დაცული ყოფილიყო ხეობის და ტაძრის უსაფრთხოება.⁹⁹

თავისი სტრუქტურით და გარეგანი იერსახით გამორჩეულია წედისის ციხეც. წედისი გაშენებულია მთის ფერდობზე, რომელსაც მდ. ათრევა ჩამოუდის, რომელიც ტანას უერთდება ჯებირთან. აქ მრავლადაა ნამოსახლარები თუ ეკლესიების ნანგრევები, რაც მრავალრიცხოვანი მრევლის არსებობაზე პირდაპირ მეტყველებს. წედისის დიდი ციხე თავისი ნაგებობის ტექნიკით, ფართობითა და კონსტრუქციით ყურადღებას იქცევს. კოშკი ნაგებია კლდის ქვით, დიდი ლოდებისგან და გვეგით ტრაპეციის მსგავსია, რომელიც შედიოდა მდ. ტანის ხეობაში განლაგებული ციხეების სისტემაში. იგი წარმოადგენდა საბრძოლო კოშკს და თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა, სადაც იხიზნებოდა მოსახლეობა. ციხის გალავანში მოთავსებულია წმ. გიორგის სახელობის ძველი დარბაზული ეკლესია (X ს.). XVIII ს. ეს სოფელი ამოწყვეტილა, მოსახლეობა გახიზნულა იმერეთში, ნაწილი კი ფრონეს ხეობაში. საყურადღებოა, რომ წედისელებმა შეინარჩუნეს რელიგიური ნიშა და აქ მოდიოდნენ სალოცავად წედისის წმ. გიორგის ტაძარში. ვახუშტი წედისის ხევს ასე აღწერს: „მტკვრის სამხრით დასავლეთიდან ერთვის ატენის წყალს წედისის ხევი. წედის

⁹⁸ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ.V. თბ. 1990, გვ. 45-46.

⁹⁹ ს. მაკალათია. ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 17.

არს ციხე მკირე და არს ხეობა ესე ვენახოვანი და ხილიანი“¹⁰⁰ წედისის ხეობას ფლობდა ერისთავი, რომელსაც საკუთარი ქალიშვილი მიუთხოვებია გორელ ამილახვრისადმი, ეს ხეობა კი მზითევში მიუცია. ამ ხეობის უკანასკნელი მებატონე კი ყოფილა ნიკო ამილახვარი.

რაც შეეხება, ცნობილ ვერეს ციხეს (IX-X ს.ს) მდებარეობს ატენის ჩრდ-აღმოსავლეთით 3 კმ-ზე, მდინარე ვერეს ნაპირას ძნელად მისადგომ ქედზე. ციხეს სტრატეგიულად მოხერხებული მდებარეობა აქვს, აქედან კარგად მოჩანს ტანის ხეობა და გორი. ვერეს ციხე და მისი შემოგარენი შედიოდა თბილისის საამიროში. ატენის ციხესთან ერთად, იგი მონაწილეობდა ქართლის შემოერთებისთვის წარმოებულ ბრძოლაში. X ს. მიწურულიდან ციხე კლდეკარის ერისთავთერისთავების-ბაღვაშთა გამგებლობაში გადავიდა. XI ს-დან XVI ს-ის შუახანებამდე, ვერეს ციხის მიმდებარე ტერიტორია საქართველოს მეფეთა განკარგულებაში იყო. 1554 წელს შაჰ თამაზმა აიღო ვერეს ციხე და გზა გაიხსნა ატენის ციხისკენ, სადაც თავშეფარებული იყო ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის დედა და ქართლის თავადაზნაურთა ოჯახები. XVII-XVIII ს.ს. ციხე, თავად ციციშვილთა ხელში გადავიდა და ამ საგვარეულოს მნიშვნელოვან საყრდენ პუნქტად იქცა. 1638 წ. ვერეს ციხეში გამაგრდა, როსტომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული, ქართლის თავადთა მეთაური ნოდარ ციციშვილი. მეფემ ალყა შემოარტყა ციხეს აჯანყებულმა ციციშვილმა თავს გაქცევით უშველა. მეფემ ციხე აიღო და გაანადგურა.¹⁰¹

აღსანიშნავია, ვერეს ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც დგას სოფლიდან 5,5 კმ-ზე, მდ. ვერეს ნაპირზე, ტყეში (თრილდება VI ს-ით და გადაკეთებულია XI ს-ში.). ტაძრის დასავლეთ კედლის კუთხეებში შემორჩენილია მოხატულობის კვალი. მნიშვნელოვანია აღმ. სარკმლის ჩარჩოზე არსებული ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ატენის ციხისთავი გორგანელი, რომელსაც ეკლესია XI ს. 60-იან წლებში აღუდგენია. სამხრეთისა და დასავლეთის ფასადებს ეტყობა მინაშენის კვალი.¹⁰²

¹⁰⁰ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის, ნ.ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1941, გვ. 56.

¹⁰¹ ქართლის ცხოვრება. ტ. II. 1959, გვ. 422.

¹⁰² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ. 1990, გვ.52.

ჯებირი ატენის პირველი უბანია გორიდან, სადაც მდებარეობს ეკლესია, რომელიც გვიან ფეოდალური ხანით თარიღდება. ხალხური გადმოცემით, აქაური ყოფილა ცნობილი გმირი ჯეფირი და ამ უბანსაც მისი სახელი დარქმევია. ვახუშტის მოხსენიებული აქვს ჯეფირის საფლავი, რომლის შესახებაც *წერს: ამას ზეით მიერთვის ტანას ხევი ღრისა, გამომდინარე რაზმოთისა მთასა; და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქ არს საფლავი ჯაფირისა, რომლის სიგრძე ხუთი ადლი და სკოცხლობდა უამსა როსტომ მეფისასა*.¹⁰³ ამ პატარა ცნობიდან ირკვევა, რომ ჯეფირის არსებობა მოგვიანო პერიოდშიც სკოდნიათ, რომელიც როსტომ მეფის თანამედროვე იყო (1632-1658). ჯეფირთან დაკავშირებით არაერთი თქმულება და ლეგენდა არსებობს თუ როგორი ძლიერი და გოლიათი იყო. ხალხში შემორჩენილი იყო შედარებები და გამოთქმები: „ჯეფირი ხომ არა ხარ“, ჯეფირივით ძლიერია და სხვ.

რაც შეეხება, ხეობის მთავარ სიმბოლოს ატენის სიონს, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე გვერდს ვერ ავუვლით. საკვლევი თემიდან გამომდინარე, არ შევუდგებით ტაძრის ეპიგრაფიკულ თუ არქიტექტურულ განხილვას, უბრალოდ მიმოვიხილავთ მნიშვნელოვან ცნობებს, რასაც კონკრეტული ძეგლი იძლევა. ატენის სიონის ტაძარი მდებარეობს სოფლიდან მოშორებით, გორიდან 12 კმ-ზე, მდ. ტანას მარცხენა ნაპირას (VII ს.).

ატენის სიონი, პირდაპირ მეტყველებს ადგილობრივი მოსახლეობის სიმრავლესა და კულტურულ განვითარებაზე. მისი წარწერები კი პირდაპირ აცოცხლებს მრავალ ისტორიულ მოვლენას. მარტო ბულა თურქის ლაშქრობის ამსახველი წარწერაც, საკმარისია მნიშვნელობის გამოსახატად. ტაძრის ინტერიერში შესაძლებელია, ადრეული და მოგვიანო პერიოდის დეკორის ფრაგმენტების გარჩევა. ტაძარი მთლიანად მოიხატა XI საუკუნის II ნახევარში. ატენის სიონის და მცხეთის ჯვრის მსგავსებას განიხილავს, გ. ჩუბინაშვილი თავის ნაშრომში „ქართული ხელოვნების ისტორია“.¹⁰⁴ ტაძართა მსგავს ფაქტორებში კი გამოჰყოფს: მდებარეობას, ტაძართა ნაგებობის იდენტურობას თუ

¹⁰³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. 1973, გვ. 343.

¹⁰⁴ გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I. თბ. 1936.

ფასადებზე რელიეფების სიმრავლე, მორთულობას. გარკვეულწილად ატენის სიონი მცხეთის ჯვრის ასლს წარმოადგენს. განსაკუთრებით მდიდარია სიონის აღმ. და სამხ. ფასადები. სამხრეთის ფასადის აღმ. ნიშში, ამოკვეთილია სომხური ასომთავრული წარწერა, რომელიც მიჩნეული იყო სამშენებლო წარწერად. თუმცა გ. აბრამიშვილისა და ზ. ალექსიძის გამოკვლევების საფუძველზე წარწერა გვიანდელი უნდა იყოს.¹⁰⁵

თოდოსაკის კონკრეტულ წარწერას სხვადასხვაგვარად კითხულობდნენ მკვლევარები. წარწერის ბოლო სიტყვის ნაკლებ გრაფემათა ნაშთი 1919 წ. შენიშა გ. ჩუბინაშვილმა და საბოლოო სახეც მიიღო: „მე, თოდოსაკ (ამ) ეკლე(სიის) მშენებელი“. წარწერას თარიღი არ აქვს და შესაბამისად, ვერც ძეგლს ათარიღებდა და ვერც თავის თავს.¹⁰⁶ ატენის სიონის დასათარიღებლად, თავიდან იყენებდნენ სამხრეთის ფასადის ქართულ წარწერას, რომელშიც ქალაქ ატენზეა საუბარი და იხსენიება ბაგრატ მეფე. ბაგრატის წარწერაში, რომ ატენის სიონი უკვე აგებულად იგულისხმება პირველად შეამჩნია ე. შტაკელბერგმა და ძეგლი დაათარიღა 787-826 წლებით. მალე დ. ბაქრაძისთვის, ცნობილი გახდა სიონის ინტერიერში, სამხრეთის აფსიდის დასავლეთ კედელზე მოთავსებული, 835 წლით დათარიღებული ფრესკული წარწერა, რის შემდეგაც აშკარა გახდა ძეგლის აგების თარიღის კორექტირება. მან პირველმა მიაქცა ყურადღება ატენის სიონის და მცხეთის ჯვრის ხუროთმოძღვრულ მსგავსებას და ორივე VII ს-ით დაათარიღა. ივ.ჯავახიშვილმაც ძეგლი, 853 წელზე ადრეულ პერიოდს მიაკუთვნა, ყურადღება გაამახვილა თოდოსაკის წარწერაზე, რომელიც IX ს-ის შუა ხანებს მიაკუთვნა. გ. ჩუბინაშვილმა, სიონი შეისწავლა კავკასიური ჯვრის ტიპის ძეგლების სისტემაში და დაათარიღა VII ს-ის 30-იანი წლებით. ტაძარზე ამოტვიფრული სომხური წარწერების საფუძველზე კი დაასკვნა, რომ მისი ხუროთმოძღვარი იყო თოდოსაკი, მისი თანაშემწე კი გრიგოლ დაჰსი.¹⁰⁷ თ. მესხი თავის ნაშრომში, საპირისპიროდ ასაბუთებს თოდოსაკის არა სომხურ არამედ ბერძნულ წარმომავლობას და შესაბამისი არგუმენტებით ამყარებს. „თოდოსაკი ბერძენია, გრიგოლ დაჰსი კი ქართველი დიდებული, რომელმაც უხვი

¹⁰⁵ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ. 1990, გვ. 55-57.

¹⁰⁶ ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ. 1978, გვ. 9.

¹⁰⁷ ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ. 1978, გვ. 10.

შესანიშნავი გაილო ტაძრის რესტავრაციისთვის და სწორედ ამიტომაც განთავსებული მისი გამოსახულება სიონის გუმბათის ყელზე. მკვლევარი, გრიგოლ დაპსს ბაღვაშთა საგვარეულოს უკავშირებს, ვინაიდან ამ საგვარეულოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიის სამეფო კართან, არც ბერძენი ხუროთმოძღვრის თოდოსაკის ჩამოყვანა გაუჭირდებოდათ“. დასაშვებია ამ ვარაუდის არსებობაც, თუ ბაღვაშთა ბიზანტიასთან უკავშირებს და გავლენას გავითვალისწინებთ.¹⁰⁸

ატენის სიონის სამშენებლო წარწერების პალეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე, გ. აბრამიშვილი, თოდოსაკს უკავშირებს ძველის რესტავრაციას X ს-ის ბოლოს და არა VII ს-ის 30-იან წლებში. ამ დასკვნამდე კი მივიდა სიონის იმ რელიეფის სიუჟეტის ანალიზის შედეგად, რომელზეც სომეხი არქიტექტორ-მოქანდაკის ხელთვაა ამოკვეთილი. ზ. ალექსიძის აზრით, თოდოსაკის წარწერა, არც პალეოგრაფიული თუ ენობრივი ნიშნებით არ შეიძლება VII ს. დათარიღდეს, მას X ს. მიაკუთვნებს. თოდოსაკი თავის თავს წარწერაში მაშენებელს „უნოდებს“, რაც აბრამიშვილის საფუძველიანი შენიშვნით გულისხმობს არა მაინცდამაინც პირველად შენებას, არამედ აღდგენასაც. სომეხ მეცნიერთა უმრავლესობა წარწერის განხილვასთან დაკავშირებით, იმდენად ტენდენციურია მათ შეხედულებებზე აქ აღარ შევჩერდებით. ნ. შოშიაშვილი, ატენის სიონს IX ს. ათარიღებს, ეყრდნობა კალაპოტის შემქმნელი ხელოსნის ბაგრატის 835 წ, და ქტიტორ ნერსე-სტეფანოზის წარწერებს, რომლებსაც ტაძრის თავდაპირველ მშენებლობის თანადროულად მიიჩნევს.

ატენის სიონის წარწერების კორპუსის გამომცემლის თ. ბარნაველის სიტყვებით: *“ატენის სიონის წარწერები, შექმნილი მრავალ საუკუნეთა მანძილზე თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალხმრივობით მათში მოხსენიებული ისტორიულ თუ სხვა პირებით, სხვადასხვა ისტორიული და კულტურული მოვლენებისა და თარიღების მოყვანით ერთ და დამწერლობით, უნიკალურ მოვლენას წარმოადგენენ. ერთგვარ ცოცხალ მატთანად გვევლინება და მდიდარ მასალას გვაძლევს საქართველოს ისტორიის, კულტურის, ენისა და პალეოგრაფიის კვლევისთვის. ატენის სიონის*

¹⁰⁸ თ.მესხი.ბერძნული ელემენტი ქართლის ტოპონიმიკაში. თბ. 2015, გვ. 45.

მღებარეობაც, საკმაოდ ყურადღებას იქცევს. იგი მღებარეობს ტანას ხეობის მარცხენა გასწვრივი ქედიდან გამომავალი ქედის უკიდურეს, მდინარის ნაპირის კონცხზე, რომელიც ქედის ბოლოს, მის ცხვირზეა აგებული. სავარაუდოდ იმ მიზნით, რომ მდინარეს და ხეობას უპატრონოს და დაიცვას გზა. აქ შესაძლოა ადრე ყოფილიყო გამაგრებული სამოსახლო, რომელიმე წარმართული კულტით. ქრისტიანობის ხანაში აგებენ ეკლესიას, რომელიც ძველის მემკვიდრედ აცხდებს თავს. კლდეკარი, რომელიც აქ არის გაჭრილი, ალბათ გაიყვანეს სიონის აგების შემდეგ, რომელმაც ჩაკეტა მდინარის გაყოლებაზე მიმავალი გზა¹⁰⁹ ამრიგად, სავსებით დასაშვებია, რომ ბაგრატ IV უკვე არსებულ ძლიერი და გამაგრებული პუნქტის ადგილას აშენებს ქალაქს.

XIX საუკუნეში, ატენი წარმოადგენდა დიდ სოფელს, რომელიც იყოფოდა რამდენიმე უბნად. სოფლის მოსახლეობა აღწევდა 800 კომლს, შესაბამისად მოსახლეობა მიწის და საკარმიდამო ფართობის სიმცირეს უჩიოდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ ადგილას ტანას ხეობა შედარებით ვიწროვდება, რომლის ნაპირზე კი ვენახები და ბალ-ბოსტნები იყო გაშენებული.

ტანას ხეობის მარჯვენა მხარეს ფლობდა მებატონე ერისთავი, მარცხენას კი ორბელიანი, რომლისგანაც მამულის ნაწილი შეუსყიდია მწარმოებელ ზეგემანს. ორბელიანი და ერისთავი ფლობდნენ დიდ ვენახებს და შესანიშნავ ღვინოსაც აყენებდნენ. ჰქონდათ სარდაფები და უზარმაზარი ქვევრები..

„რაც შეეხება მწარმოებელ ზეგემანს, ის გახლდათ ფინელი, რომელმაც XIX ს-ის 80- იან წლებში, ტანას ვიწრო ხეობაში გაიყვანა ვიწროლიანდავიანი რკინიგზა, რომელიც ვორიდან ტანას ხეობით გადიოდა ბორჯომის ხეობამდე. იგი ამზადებდა შპალეებსა და ფიცრებს, რომელიც იგზავნებოდა საქართველოს და ამიერკავკასიის სხვადასხვა მხარეში, ძირითადად კი რკინიგზა მარავდებოდა. ზეგემანის რკინიგზა ფუნქციონირებდა 1918 წლამდე. კონკრეტული მენარმის საქმიანობამ, დიდი ზარალი მიაყენა ატენის ხეობის ბუნებას, გაიკაფა ტყის დიდი ნაწილი. რევოლუციის შემდეგ აქაურ მემამულეებს ჩამოერთვათ მიწები, ორბელიანის, ერისთავის, ზეგემანის მამულები

¹⁰⁹ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 103.

დაჰყვეს ნაკვეთებად და მოსახლეობას გაუნაწილეს საკარმიდამოდ. დაიწყო დიდი ატენიდან მეკომურთა გასვლა და შეიქმნა ატენის ახალი უბნები: ჯებირი, ვანიანთ უბანი, გარდატენი, პატარა ატენი, დეგეულა და ჭეჭელაანთ უბანი. ახალი უბნები განსხვავდებოდა დაგეგმარებით და თავისი კეთილმოწყობილი ფართო ქუჩებით.¹¹⁰

რაც შეეხება, მოსახლეობის ყოფა ცხოვრებასა და სოციალურ განვითარების დონეს, აქაური მოსახლეობა ძირითადად დაკავებული იყო სამეურნეო საქმიანობით: მინათმოქმედება-მევენახეობით. აქვე შევეხებით მოსახლეობის რწმენა წარმოდგენებს და დღემდე შემორჩენილ ლეგენდებს.

ატენის ხეობა, როგორც ვთქვით განაწილებული ჰქონდათ მემამულეებს ერისთავებსა და ორბელიანებს. ტანას მარჯვენა მხარეს ფლობდა ერისთავი, მარცხენას კი ორბელიანი. გლეხობა კი დასახლებული იყო მებატონეთა მამულზე და საღალოდ ამუშავებდა მათ ბალ-ვენახებს და ყანებს. გლეხობის მცირე ნაწილს ჰქონდა პატარა ნაკვეთები, რომელსაც ამუშავებდნენ ძველი მამაპაპური წესებით. განსაკუთრებულ ყურადღებს იმსახურებდა მინათმოქმედება, სამუშაოდ ძირითადად გუთანი გამოიყენებოდა, რომელშიც რვა უღელი ხარი იყო შებმული. რვა უღელი ხარის ყოლა იშვიათი იყო მეკომური გლეხისთვის. სოციალური კეთილდღეობის მიხედვით, შეძლებულ გლეხს ოთხი უღელი ხარი ჰყავდა, დანარჩენები კი სხვებს შეუბამდნენ. პირველად ხნავდნენ გუთნისდედის მიწას. გუთნისდედობა მხოლოდ ხელოსანს შეეძლო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეაკეთებდა კიდევ მას. ასევე იცოდა მოხვნის წესები, ხნულის სწორი გატარება, შესაბამისად გუთანიც მის საკუთრებას წარმოადგენდა. ამიტომ ხალხიც დაინტერესებული იყო ხარები შეება კარგ გუთნისდედასთან, რომ მიწაც კარგად დამუშავებულიყო. გუთანი ფასობდა ერთ კოდ პურად. ვისაც არც ხარ-კამეჩი ჰყავდა და არც გუთანი ჰქონდა გუთნისდედას სთხოვდა მიწის ქირით მოხვნას. ვისი მიწაც მუშავდებოდა საკვებით უზრუნველყოფაც მას ევალეობდა. ითვისებოდა პურის შემდეგი ჯიშები: წითელი პური, დოლის პური, შავფხა, ქერი დიკა. ყველაზე დიდ შემოსავალს დიკა იძლეოდა.

¹¹⁰ ს. მაკალათია. ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 14-15.

ატენის ხეობა, მათ შორის გამორჩეულია მევენახეობის დიდი კულტურით. აქ ხარობდა სხვადასხვა ჯიშის ვაზი: მწვანე, თაგვერა, ბუდეშური. ბუდეშურისგან მზადებოდა საუკეთესო ატენური ღვინო, რომელიც საკმაო მოსავალსაც იძლეოდა. ღვინოს შესანახად ქვევრებს იყენებდნენ. ხეზე გაშვებულ ვაზს უწოდებდნენ „ბიბილოს“ სარზე გამართულს კი ფეხის ვაზს. ვახუშტის მიხედვით: „ღვინო აქაური უმჯობესი არს ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“.¹¹¹

ხეობის მოსახლეობას მრავალი ცრურწმენა და რწმენა-წარმოდგენები გააჩნდათ. მაგალითად მინათმოქმედებასთან დაკავშირებით მიმართავდნენ შემდეგ ქმედებას: გვალვის დროს გუთანს გაატარებდნენ წყალში. ქალები შეებმეოდნენ გუთანში და წყალში შეტოპავდნენ, ინსცენირებას აკეთებდნენ მინის დამუშავება მოხვნის და წყლით წუნავდნენ და იძახოდნენ“ წვიმა მოვიდაო“. ასევე იცოდნენ ლაზარე. ამისთვის კი თიხის ლაზარეს ამზადებდნენ, რომელსაც მამაკაცის გამოსახულება ჰქონდა. ფიცარზე დააწვენდნენ და ზედ სველ ტილოს დაათარებდნენ. შემდეგ ლაზარეს სიმღერის თანხლებით სოფელში დაატარებდნენ. „ლაზარ მოდგა, ლაზარ მიდგა, ჩემო ლაზარეო. წვიმა მოგვეც ლაზარეო, აღარ გვინდა გოროხიო ახლა მოგვეც ტალახიო“. სახლის ბანიდან ჩუმად წყალს გადაასხადნენ ლაზარეს განუწავდნენ და გარბოდნენ. ლაზარეს აძლევდნენ პურს, ფქვილს კვერცხებს და სხვა. მოლაზარენი ამისგან გამოაცხოებდნენ პურს აანთებდნენ სანთლებს და შეიკრიბებოდნენ ერთ ოჯახში. ამ პურს ჭამდნენ და ავდარზე დაილოცებოდნენ. ბოლოს კი ლაზარეს წყალში გადააგდებდნენ. მოსახლეობა ასრულებდა ჩიტფათობას, რათა ფრინველებს მოსავალი არ გაენადგურებინათ. ყველიერში მოადულებდნენ ფაფას და შუაში მოათავსებდნენ ერბოს. ფაფიან ჯამს კი გარეთ მოათავსებდნენ ფიჩხზე, რომ ჩიტებს ეჭამათ და ყანა არ გაეფუჭებინათ.

დამახასიათებელი იყო ასევე კალოობის დანყებამდე მღვდლის მონვევა და კალოს კურთხევა. კურთხევის სანაცვლოდ კი მღვდელს ქათამს ან ათ შაურს აძლევდნენ. ვისაც თავისი კალო არ ჰქონდა, სხვის კალოზე გალენავდა, ლენვაში კი მას ბზეს აძლევდა. გალენილ პურს ჰყრდნენ გოდორში ან ბელელში. ხორბალს არწყავდნენ ჩანახით. რვა

¹¹¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. 1973, გვ. 345.

ჩანახი ერთი კოდი იყო (4 ფუთი). პურის თავთავისგან გააკეთებდნენ ჯვარს და შიგ ბეღელში ჩააგდებდნენ, რათა პურს ბარაქა მიეცესო. პირველად გალენილი კალოდან ნახევარ ან ერთ კოდ პურს საზედაშეს აიღებდნენ. ამას შემდეგ დაფუქვავდნენ, პურებს დააცხობდნენ და თავიანთ ხატ-სალოცავებში წაიღებდნენ, სადაც დაილოცებოდნენ და კარგ მოსავლიანობას აღნიშნავდნენ. მოსახლეობას თავისი რეგიონისთვის დამახასიათებელი და სპეციფიკური დღესასწაულები, ხატობა-დღეობები ჰქონდა.¹¹²

მოსახლეობაში განვითარებული ყოფილა მონადირეობაც. მისდევდნენ თევზაობასაც, გამოიყენებდნენ თვზის დასაჭერად მაშხალას, ბადეს, ფაცერს (ლატი) კოკოზით ზელაობით და სხვაა. კონკრეტულ დღესასწაულებს მოსახლეობა გამოარჩევდა და განსაკუთრებულად და დამახასიათებელი რიტუალებით აღნიშნავდა, ასეთებია: ახალი წელი, ბერიკაობა, ყეენობა, ჭონა და სხვა.

¹¹² ს.მაკალათია. ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 30-33.

დასკვნა

ძველი ქართული ქალაქები, ეკონომიკურად დაწინაურებულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ქალაქების დაწინაურებისთვის გადამწყვეტი ფაქტორები იყო: სტრატეგიული მდებარეობა, საქალაქო მეურნეობის მრავალი დარგი, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება და სავაჭრო ცენტრად ქცევა და საქარაფნო გზების სიახლოვე. თითოეული ქალაქი ყველა ფაქტორს ვერ დააკმაყოფილებდა, თუმცა რომელიმე გადამწყვეტი ხდებოდა ქალაქის დაწინაურების საქმეში. ატენის შემთხვევაში ნათელია, რომ ნამდვილად იყო ფეოდალური ხანის ქალაქი, რასაც ადასტურებს ქალაქური დასახლების ტიპი და სავაჭრო ადგილების არსებობა. ოპტიმალურმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ კი განსაზღვრა ზოგადად მისი როლი.

ატენის მნიშვნელობას ხაზს უსვამს, მისი სტრატეგიული მდებარეობა და სავაჭრო მაგისტრალურ გზებთან სიახლოვე. ეს გზა, ფეოდალურ ხანაში საკმაოდ ინტენსიური დატვირთვით მუშაობდა. მისი დაწინაურება, არ ყოფილა შემთხვევითი, ატენი ერთგვარი გასაღები იყო და მდებარეობდა ჯავახეთიდან და თრიალეთიდან ქართლისკენ მიმავალ გზაზე.

ტანას ხეობაში ადრევე არსებობდა დასახლებული პუნქტი, თუმცა ქალაქის სტატუსს XI ს-ში იღებს, მას შემდეგ რაც „ქულობაგები“ ააგეს. რაც განპირობებული იყო მზარდი ქართული ფეოდალური საზოგადოების წინსვლით, სოციალურ, პოლიტიკურ-ეკონომიკური მოთხოვნილებებით.

ატენის ქალაქობას მეტყველებს, თავდაცვით ნაგებობათა მთელი სისტემა და მათი განლაგება ხეობაში. ატენის, ვერეს, წედისის ციხეთა არქიტექტურული იერსახე მეტყველებს მშენებლობის ტექნიკის განვითარებაზე. ტანასა და მტკვის შესაყარზე ხიდის ნაშთები შეიმჩნევა, რაც ფეოდალური ატენის და გორის კეთილმოწყობილი გზების საუკეთესო დადასტურებაა.

ატენის ქალაქობას პირდაპირ ადასტურებს, ატენის სიონის სამხრეთის ფასადზე შესრულებული 1060 წ. წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ ბაგრატ IV-ის ბრძანებით შენდება ქალაქი, სავაჭრო ადგილები, მეფის სასახლე. ატენი სამეფო ხელისუფლებაზე

დაქვემდებარებული ქალაქი იყო, რომელსაც ადგილობრივი მოხელე განაგებდა. ასევე ბაგრატის ბრძანებით შენდება, 1060-72 წლებში ატენში წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რასაც მასზე არსებული ასომთვრული წარწერიდან ვიგებთ.

ქალაქის როლს, კარგად წარმოაჩინს აქ არსებული საბაჟოები და ის შემოსავალი, რაც მას ჰქონდა. საუკუნეთა მანძილზე, ატენის ფლობა-განკარგვის გამო, ერთმანეთს ებრძოდნენ სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები და ადგილობრივი ფეოდალები. ატენის ფლობა, ასოცირდებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენასთან. ბუნებრივია უბრალო სოფლის ტიპის დასახლებისთვის, არ იქნებოდა ასეთი დაპირისპირება მეფე-მთავრებს შორის. ქალაქები, როგორც სავაჭრო ცენტრები მოგების წყაროს წარმოადგენენ ფეოდალური ხანის საქართველოში. ვაჭარ-ხელოსანთა ხელში, დიდი სიმდიდრე იყო თავმოყრილი. შესაბამისად, შემოსავლები და გარკვეული ინტერესები ამოძრავებდა ამათუ იმ ფეოდალს, როდესაც ესწრაფოდა კონკრეტული ქალაქის ფლობას. ატენი, რომ საკმაოდ შემოსავლიანი ქალაქი იყო, ჩანს დავით აღმაშენებლის ანდერძიდან: როდესაც მეფე ჩამოთვლის განძეულობას.

მღ. ტანას ხეობა საკმაოდ მდიდარია, განვითარებული მიწათმოქმედება-მევენახეობით, რომელიც არსებითად ამარაგებდა სამეფო კარს რიგი პროდუქტებით.

სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, კულტურულად განვითარებული მხარეა, რომელსაც რელიგიური ცენტრის ფუნქციაც ჰქონდა გარკვეულ პერიოდში.

ასევე ადასტურებს, ეკლესია-მონასტრების სიმრავლე, რომელთა უმრავლესობა სწორედ X-XI საუკუნეებს განეკუთვნება. მოსახლეობა კულტურული განვითარების მაღალ დონეზე მდგარა, რაზეც მეტყველებს ატენის სიონის ხუროთმოძღვრება, მხატვრული გაფორმება და შემკულობა, რომელიც აკმაყოფილებდა მის ესთეტიკურ მოთხოვნილებას. ატენის ხეობის ეკლესიათა სიმრავლე, მეტყველებს მოსახლეობის სიმჭიდროვესა და მლოცველთა მრავალრიცხოვნებაზე.

XIII საუკუნიდან მონღოლთა ბატონობის დროს კარგავს ქალაქის სტატუსს და ამ პერიოდიდან უკვე სამეფო დომენად (სოფლად) მოიხსენიება. საუკუნეთა მანძილზე ხან სამეფო სოფელი იყო, ან კონკრეტულ მოხელეს ჰქონდა დროებით მფლობელობაში, ხან ეკლესიის მამულთა სიაში გვხვდება მოხსენიებული.

XVIII ს-ში ლეკთა მარბიელი ლაშქრობების შედეგად, კარგავს თავის ფუნქციას ატენი, ეცემა პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ატენი მოსახლეობისგან დაცლილი ჩანს 1804 წლის აღწერით, მისი ხელახალი განსახლება კი 1817 წ. გიორგი ერისთავს უკავშირდება, რომელმაც ქსნის ხეობიდან 50 კომლი გლეხი გადმოასახლა.

დამონმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია

1. გ. აბრამიშვილი. ატენის სიონი. თბ. 2012.
2. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ. 1978.
3. ს. ალიმბარაშვილი. შიდა ქართლის ზოგიერთი გამქრალი სოფლისა და ტოპონიმის დაზუსტებისა და ლოკალიზების ცდა (1804 და 1818 წლების აღწერების მიხედვით).
4. ა. აფაქიძე ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ. 1963.
5. გ. აფრასიძე. საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები XI-XIII ს.ს. თბ. 1984.
6. იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბ. 1986.
7. თ. ბარნაველი. ატენის სიონის წარწერები. თბ. 1957.
8. მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2004.
9. გ. ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ტ. I. თბ. 2002.
10. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I. თბ. 1964.
11. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III. 1966.
12. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VII. თბ. 1974.
13. ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმ. ქალაქები IX-XIII სს. ნარკვევები მახლობელი აღმ. ქალაქების ისტორიიდან. თბ. 1966.
14. მ. გაბაშვილი. საქართველოს ქალაქები XI-XII სს-ში. თბ. 1981.
15. გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. თბ. 2013.
16. დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ. 1955.
17. ლ. დავლიანიძე. მათე ურჭაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. თბ. 1968.
18. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. II. 1965.
19. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970.

20. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. IV. 1972.
21. ე. თაყაიშვილი. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. ტ. 45. თბ. 1951.
22. ლაპიდარული წარწერები. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. I. თბ. 1980.
23. ვახუშტი ბაგრატიონი-აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1941.
24. მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ. 1963.
25. ს. მაკალათია. ატენის ხეობა. თბ. 1957.
26. თ. მესხი. ბერძნული ელემენტი ქართლის ტოპონიმიაში. თბ. 2015.
27. შ. მესხია. ხელოსნობა ძველ საქართველოში. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982.
28. III. Месхиа. города и городские строи феодальной грузии. тб 1960.
29. რ. მეტრეველი. შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში XII ს. თბ. 1973.
30. მ. მიჩიტაშვილი. საციციანოს ისტორია. წ. I. თბ. 2016.
31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები III ტომი. 1979.
32. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ. 1990.
33. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ნ. შოშიაშვილი, ვ. სილოგავას რედაქციით. ტ. I. 1984.
34. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955.
35. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. 1959.
36. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973.

37. ა. ჩიქობავა. ფეოდალიზმი და ქართული ეთნოკულტურა VIII-X საუკუნეებში. თბ. 2015.
38. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I. თბ. 1936.
39. ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. თბ. 1968.
40. ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. II. თბ. 1970.
41. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისთვის. I. თბ. 1946.
42. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. 1907.
43. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. I. თბ. 1928.
44. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 2012.
45. ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. თსუ შრომები. ტ. II თბ. 1952.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities



Master's Program in History of Georgia

Pavliashvili Eter

Ateni according to written sources

Thesis is prepared to obtain MA Degree in History of Georgia

Research Supervisor: Apolon Tabuashvili

P.H.D. in History, Associate Professor

Tbilisi

2019